ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 ივნისი 2004 №141 (2160) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერიკსონისთვის ყრმა რუნი ყრმა ჰელეა

ერიკსონი სკოლარის

## დაეჯახა

რუნი ფიგუს

## ზიდანმა საფრანგეთი საბერძნეთს შეჰყარა

პორტუგალია
24 ივნისი
ინგლისი

## მეოთხედფინალი

საფრანგეთი
25 ივნისი
საბერძნეთი

## ოტო ბარიჩი

ჩვენ ბევრი პრობლემები შეგვექმნა, რობერტ ჯოვაჩი და დარიო შიმიჩი დაშავდნენ. იძულებული გავხდი ისინი შემეცვალა, რამაც გეგმები ამირია და მატჩის დროს შეტევა სათანადოდ ვერ გავაძლიერე.

# ხორვატია 2 — ინგლისი 4

**21 ივნისი**
**B ჯგუფი. III ტური**
**ლისაბონი. ლუზი**

1:0 ნ. ჯოვაჩი (5), 1:1 სქოულზი (40), 1:2, 1:3 რუნი (45, 68), 2:3 ტუდორი (73), 2:4 ლამპარდი (79)

**12 ბუტინა**

21 რ. კოვაჩი — 3 შიმუნიჩი

13 შიმიჩი — 6 ჟივკოვიჩი

5 ტუდორი — 10 ნ. კოვაჩი

20 როსო — 7 რაპაიჩი

9 პრსო — 11 შოკოტა

მწვრთნელი: ოტო ბარიჩი

**შეცვლა**
რ. კოვაჩი — 19 მორნარი (46), რაპაიჩი — 18 ოლიჩი (55), შიმიჩი — 8 სრნა (67)

**1 ჯეიმსი**

5 ტერი — 6 კემპბელი

2 გ. ნევილი — 3 ე. კოული

11 ლამპარდი — 4 ჯერარდი

7 ბექემი — 8 სქოულზი

9 რუნი — 10 ოუენი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

**შეცვლა**
სქოულზი — 15 კინგი (70), რუნი — 23 ვასელი (72), ლამპარდი — 14 ფ. ნევილი (84)

**გაფრთხილება:** შიმიჩი (63)
**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია). 57 047 მაყურებელი

ჯარიმა: 17-16; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 11-15; თამაშგარე: 3-1



## სვენ გორან ერიკსონი

მე არ მახსოვს, ჰელეს შემდეგ ვინმეს ასე ადრეულ ასაკში დიდ ტურნირზე გაებრწყინოს. რუნიმ გადასარევად ითამაშა, იშრომა და დაცვაშიც შესანიშნავად ეხმარებოდა გუნდს.

ვაჟა ხუციშვილი

# შეყრა

## თამაში გულიან-გოლიანი

სადაც თქვენი დაიკვეხოთ, იქ ჩვენიც არ დაგავიწყდეთ — ასე შეიძლება დავარქვათ ხორვატთა ლაზათიანი გუნდის გამოსვლას ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მათთვის გუშინ ინგლისთან თვალსასაჩინო მატჩით დასრულდა. წილისყრის ბრალია, რომ ხორვატია ჯგუფში ორ ვეშაპთან, საფრანგეთთან და ინგლისთან მოხვდა. ფრანგებს კი დააწყვიტეს ნერვები და ქულაც ააცალეს, მაგრამ მოკლე დროში, ზედიზედ ორ დიდ ნაკრებთან გამკლავება ხომ იოლი არაა.

ხორვატებს მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ მეოთხედფინალში გასასვლელად და მატჩიც ისე დაიწყო, უკეთესს ვერ ინატრებდნენ. ნიკო კოვაჩის სწრაფმა გოლმა, ეშლი კოულის შეცდომას რომ მოჰყვა, ოტო ბარიჩის შეგირდებს უკან დახევის და კონტრშეტევების საშუალება უბოძა.

ერიკსონივით მშვიდი ინგლისი არ აფორიაქებულა. უეინ რუნიმ, რომლის მოთოკვაც ხორვატთა თავკაცის დავალება იყო, გამთამაშებლობა იკისრა. მისი პირველივე პასით პოლ სქოულზი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და ბუტინამ მანჩესტერელს აჯობა. მე-40 წუთამდე ინგლისელებმა ხუთჯერ დაარტყეს კარში, ხორვატებმა კი სულ ორჯერ, რადგან დაცვაში შეყუჟულებს ანგარიშის შენარჩუნება ეწადათ და შეტევებს უკლეს.

ბუტინას ტაიმის შუაწელში საქმე მოუმრავლდა. მან ორჯერ ფრენკ ლამპარდის და ერთხელ სტივენ ჯერარდის მეტად რთული დარტყმები მოიგერია. ინგლისელებმა ტემპს უმატეს და ლოგიკურია, რომ კიდეც გაათანაბრეს. საგოლე პასი რუნიმ მიითვალა — თავით თავზე დაასვა ბურთი პოლ სქოულზს, რომელსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

ერიკსონის ჯილამ, 18 წლის ყმაწვილმეგოლემ ტაიმის მიწურულს ტომისლავ ბუტინას ისეთი დაურტყა, მეკარე უძლური აღმოჩნდა და ინგლისელები დაწინაურდნენ.

ხორვატებს დანებება არ სჩვევიათ. მეორე ტაიმში ოტო ბარიჩმა გუნდს ორი შემტევი მიახმარა: მორნარი და ოლიჩი — მარჯვენა ფლანგზე მორნარმა ვერაფრით გამოიჩინა თავი, ოლიჩმა კი მარცხენა ფრთაზე გარი ნევილი აშკარად დაჯაბნა. მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდმა კარგი პასები არიგა და თავადაც ჰქონდა მომენტები.

ბუტინასთან პირისპირ დარჩენილ მაიკლ ოუენმა მეკარეს ბურთი თავსზემოთ გადაავლო, მაგრამ ხარიხასაც გადააცილა. სამი მატჩი ითამაშა ინგლისმა და „ლივერპულის“ ფორვარდს ჯერჯერობით გვალვა უდგას, ერიკსონს კი სჯერა, რომ ოუენი თავის სათქმელს ადრე თუ გვიან გააკეთებს.

ამის შემდეგ დევიდ ჯეიმსმა იყოჩაღა, როცა საჯარიმოს ხაზიდან როსოს დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია. ბურთი მეტწილად ინგლისელთა საჯარიმოში ჩანდა, თუმც ხორვატებმა კარში გზა ვერ მიასწავლეს. იერიშებით გართული მეტოქე ინგლისმა კონტრშეტევაზე გამოიჭირა და ფანები კვლავ რუნიმ გაახარა. მოედნის ცენტრში ოუენთან კედელი გაითამაშა, კარისკენ გაქანდა და ბუტინას მესამე გაუტანა.

იგორ ტუდორმა მოხდენილი თავური დარტყმით ანგარიშში სხვაობა რომ შეამცირა, თამაში კიდევ უფრო საინტერესო გახდა. მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯერარდმა შანსი ვერ გამოიყენა და ხორვატებს გათანაბრების იმედი დაუტოვა, მაგრამ ინგლისელები მცველ-მეკარიანად ყოჩაღად იდგნენ საჯარიმოში. ბარიჩის შეგირდებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლი ვერ გამოწურეს, ფრენკ ლამპარდმა კი თხუთმეტიოდ მეტრიდან თავისი ნაქები ცაციით მეოთხედ დაამწუხრა მეტოქე.

დადო პრსოს ჰქონდა ბოლოს ხელსაყრელი ეპიზოდი, როცა დევიდ ჯეიმსის შეცდომით უნდა ესარგებლა, თუმც ინგლისელთა მეკარემ შეცდომა თავადვე გამოასწორა და აწ უკვე „რეინჯერსის“ ფორვარდის დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია.

„მე არ მახსოვს ჰელეს შემდეგ ვინმეს ასე ადრეულ ასაკში დიდ ტურნირზე გაებრწყინოს. რუნიმ გადასარევად ითამაშა, იშრომა და დაცვაშიც შესანიშნავად ეხმარებოდა გუნდს. უეინი ფანტასტიკურია“ — თქვა ნასიამოვნებმა სვენ გორან ერიკსონმა.

ოტო ბარიჩი: „ჩვენ ბევრი პრობლემები შეგვექმნა, რობერტ კოვაჩი და დარიო შიმიჩი დაშავდნენ. იძულებული გავხდი ისინი შემეცვალა, რამაც გეგმები ამირია და მატჩის დროს შეტევა სათანადოდ ვერ გავაძლიერე. მოედანზე უფრო მეტი თავდამსხმელი უნდა მყოლოდა, მაგრამ დაგეგმილი არ გამომივიდა. მიუხედავად ამისა, მარცხით გულდაწყვეტილი არა ვარ, რადგან ძალიან ძლიერ გუნდთან წავაგეთ“.

REUTERS ლისაბონიდან

ფრენკ ლამპარდმა ცაცია საგოლედ მოიჭნია

| ШВЕЙЦАРИА | 21 ივნისი | საფრანგეთი |
|---|---|---|
| 1 | B ჯგუფი. III ტური<br>ჯოიმბრა. სიდადე დე ჯოიმბრა | 3 |

0:1 ზიდანი (20), 1:1 ვონლანტენი (26), 1:2, 1:3 ანრი (76, 84)

**1 შტილი**

5 მ. იაკინი — 20 მიულერი

4 ანშო — 17 შპიხერი

6 ფოგელი

7 კაბანასი — 8 ვიკი

15 გიგაქსი — 10 ჰ. იაკინი

22 ვონლანტენი

მწვრთნელი: იაკობ კუნი

**შეცვლა**

ჰ. იაკინი — 18 ჰუგელი (60), გიგაქსი — 21 რამა (86), ანშო — 14 მანინი (86)

**16 ბარტეზი**

15 ტურამი — 13 სილვესტრი

19 სანიოლი — 3 ლიზარაზუ

4 ვიეირა — 6 მაკელელე

7 პირესი — 10 ზიდანი

20 ტრეზეგე — 12 ანრი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

**შეცვლა**

სანიოლი — 5 გალასი (46), ტრეზეგე — 9 საჰა (75), გალასი — 2 ბუმსონგი (90)

**გაფრთხილება:** ჰ. იაკინი (43), ანრი (46), ვიკი (66), ჰუგელი (75)
**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი). 30 000 მაყურებელი

ჯარიმა: 20-17; კუთხური: 1-7; კარისკენ დარტყმა: 3-7; კარში დარტყმა: 4-10; თამაშგარე: 0-2

**ჟაკ სანტინი**

თამაშის შეფასება ჩემთვის ახლა მთავარი არ არის, მთავარი ისაა, რომ მეოთხედფინალში ვართ.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| ხორვატია | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

*საფრანგეთი* და *ინგლისი* *გავიდნენ მეოთხედფინალში*

იაკობ კუნი პორტუგალიას უსიტყვოდ დაემშვიდობა

# ცეცხლი № 10

**კაპუნა კედია**

**ცხადია,** რასაც ახლა ვამბობთ, გადაჭარბებულია, მაგრამ სურათს კარგად ხატავს: პირველი და მეორე თამაშების დრო რომ შევკრიბოთ და ზედ მესამე მატჩის 84 წუთი დავამატოთ, 264 წუთი გამოვა ანუ შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ნაკრების და ლონდონის „არსენალის“ ბრწყინვალე თავდამსხმელმა, ტიერი ანრიმ ევროპის ჩემპიონატის დაწყებიდან ოთხი სათამაშო საათის და ოცდაოთხი წუთის შემდეგ პირველად მიიღო ის სივრცე, რომელშიც ჩვეულებისამებრ გაინავარდა, ბურთიც თავისებურად გააკონტროლა, დარტყმის წინ მოხდენილი პაუზა დაიჭირა და გოლი გაიტანა.

და ვფიქრობთ, ამ შეჯიბრებაში ევროპის ჯერ კიდევ ჩემპიონთა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაც სწორედ ეს არის — ნებისმიერმა მეტოქემ ძალიან კარგად იცის, რომ ანრის და მის ტრადიციულ მეწყვილეს, დავიდ ტრეზეგეს გარს მცველების ჯარი უნდა შემოარტყას, რათა მათ (უპირველესად კი, ბუნებრივია, ანრის) გასაფარფატებელი მანძილი და გარემო არ შეექმნას.

და კიდევ, ფრანგები მძიმედ არიან, მათ შემყურე ადამიანს უპირველესად ალბათ ასეთი აზრი მოუვა თავში, ვინაიდან თქმა იმისა, რომ ისინი ძალებს ჯერ კიდევ ზოგავენ, საკუთარი თავის მოტყუება იქნება და მეტი არაფერი. დიახ, დაუღალავი იყო ანრი, დიახ, საფინალო სასტვენამდე წუთებით ადრე პირესი მოედნის მორიგი გადარბენის ძალას პოულობდა, მაგრამ ყველამ ერთად ცეცხლი ვერ დაანთო. მათ ვერ დაახვიეს აქეთ-იქიდან სირბილითა და ბურთის ზუსტი გადაგდება-გადმოგდებით მეტოქეს თავბრუ.

და არის მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელზეც სიტყვა „ვერ“ არ მოქმედებს. ეს გახლავთ ამ შეხვედრაში პირველი გოლის ავტორი ზინედინ ზიდანი, რომელმაც — ცხადია, ისევ გადაჭარბებით ვამბობთ და ვიმედოვნებთ, რომ სურათს სწორად ვხატავთ — 90 წუთიდან სადღაც 80-ის განმავლობაში ფრანგთაგან მარტომ ითამაშა ნაღდი ფეხბურთი, მარტო ფლობდა ბურთს და ინიციატივას, მარტო უტევდა მეტოქის კარს და მხოლოდ ბოლო 10 წუთშიღა აიყოლია თანაგუნდელები.

გოლი კი ზიდანმა ისევ სტანდარტული მდგომარეობიდან გაიტანა: მე-20 წუთზე მარჯვენა მხრიდან რობერ პირესის ჩაწოდებულ კუთხურს აუხტა და თავურით შეაგდო ბურთი შვეიცარიელების კარში.

REUTERS კოიმბრადან

იოჰან ვონლანტენი ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე შეიქნა

მაგრამ ზიდანის გოლიდან ექვსი წუთის შემდეგ შვეიცარიელებმა ანგარიში ასე გაათანაბრეს: რიკარდო კაბანასის ჰასს საჯარიმოში იოჰან ვონლანტენი შეჰყვა და ფაბიენ ბარტეზს შორეულ კუთხეში დაურტყა. ცნობისთვის: ვონლანტენი 18 წლისაა და ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე გახდა.

აი, ასე, არეულად, მაგრამ გიამბეთ შეხვედრის ოთხი გოლიდან სამის ამბავი და ბარემ მეოთხეზეც ვთქვათ. ეს 76-ე წუთზე მოხდა, როდესაც მოედანზე წამების შესულმა ლუი საჰამ ბურთი თავით დაუგდო ანრის და მან დაახლოებით 8-10 მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

ხოლო ახლა, როდესაც აღვწერეთ გოლები და ფრანგები, შვეიცარიელებზეც ვთქვათ რამე, თუნდაც ის, რომ მათ ფრანგთა თამაში ზედმიწევნით ჰქონდათ შესწავლილი და ფიზიკურად ღონივრებმა და გამძლეებმა ევროპის ჩემპიონი სერიოზულად დატანჯეს და ანერვიულეს. შეტევაში შვეიცარიელები დიდი ფანტაზიით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ, თუმცა დაცვა, როგორც გითხარით, სანაქებოდ ჰქონდათ აწყობილი.

ოღონდ, მაინც იყო ერთი უარყოფითი თვისება, რომელიც შვეიცარიელებს, ვფიქრობთ, რომ შევნიშნეთ: გოლის გაშვება ტეხდათ. ამის დასტურად თამაშის ბოლოს თავი დავანებოთ, ზიდანის გოლიდან მათ გოლამდე ექვსწუთიანი მონაკვეთი უნდა მოვიყვანოთ, ამ მონაკვეთში ბურთი შვეიცარიელთა საჯარიმოდან არ გამოსულა და ფრანგები ზედიზედ აწოდებდნენ კუთხურს კუთხურზე. მაშ, როგორღა გაიტანეს? ჩვეულებრივ, სწრაფი კონტრშეტევით, რომლის ეფექტურად ჩატარების ნება მეტოქის დაცვამ მისცა — ესეც ფრანგთა კიდევ ერთი პრობლემა.

REUTERS კოიმბრადან

ზიდანმა საფრანგეთს ამჯერად თავი შეაშველა



REUTERS კოიმბრადან

გოლის რიგში ანრი საათობით იდგა

გიო ახვლედიანი
პორტუგალიიდან

# ფორკადოშ

## პორტუგალია ესპანეთს რქებში სწვდა

**როგორც** იმ ძველ სიმღერაშია: ია ვამ ნი სკაჟუ პრა ვსიუ ადესუ, ვსია ადესა ოჩენ ველიკა... აბა, როგორ მოვყვები მთელი ქვეყნის, ანდაც მთელი უზარმაზარი ქალაქის შესახებ. მეტიც, ასეთ ვითარებაში შენი უბნის შესახებ მოთხრობაც გაგიჭირდება.

ამიტომ, მე ჩემი ქუჩის, რუა და ფერნანდეშ ტომაშის შესახებ მოვყვები.

ძალიან ჩვეულებრივი ქუჩაა და რომ გითხრათ, იქ თუნდაც შეძლებული ხალხი ცხოვრობს-მეთქი, მთლად მართალი არ ვიქნები. ფერნანდეშ ტომაში თავდაღმართია, ქალაქის გულისკენ კი არ ადის, არამედ ჩადის. ქალაქის გულში კი კვირაღამ ზეიმი იყო. არც გამოვიდოდა, რომ არ ყოფილიყო. იშიდრო ალვეში, სამოცდაათს გადაცილებული კაცი, მაშინ გამოვარდა კაფედან, როცა ნუნუ გომეშს ჯერ არცკი დაერტყა. იშიდროს მრავალწლიანმა საფეხბურთო გამოცდილებამ უკარნახა, რომ მთელს ქუჩაზე პირველს ეყვირა: პურტუგალ, ალეეე!

ეს ყვირილი იყო და, გოლი გაიგონა ტაქსისტმა, რომელიც დაღმა მოდიოდა და ალბათ ერთ-ერთ იშვიათ მოძრავ რამეს მართავდა იმ წუთს, საღამოს ცხრა საათზე. ტაქსისტმა სიგნალს დააჭირა და ხელი აღარც აუღია, ისე ჩასცდა მთელს ფერნანდეშ ტომაშის ქუჩას. ამ სირენამ დააბნია ეკლესიის სახურავზე დაბუდებული თოლიები, ყველა ერთად მოსწყდა ადგილს და გაფრინდა სადღაც, ალბათ იქ, სადაც სიწყნარე იყო. ამ დროს კი სიწყნარე აღარსად იყო. გუგუნებდა ჟოაო პირველის მოედანზე დიდ ეკრანთან შეყრილი ბარე ათი ათასი კაცი, რომელთაგან ნახევარი მხოლოდ ნახევარ ეკრანს ხედავდა. სიწყნარე აღარ იყო არსად, იშიდრო ალვეშს პატარა ბიჭები გამოყვნენ კაფედან, სადაც დილით ციცქნა ტელევიზორი შემოდგეს მაცივრის თავზე.

პურტუგალ! ვივე ო პურტუგალ!

ლუის ფელიპე სკოლარი მერე იტყვის: ჩვენ პირველი თამაშის ვალი გვაქვს, ჩვენ პორტუგალიას ძალიან ცუდი საღამო ვაჩუქეთ, ახლა კი თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ. არავინ იცის, რა მოხდება, არავინ იცის, რა გველის, მაგრამ ჩვენ ვთამაშობთ.

და რაც მთავარია, პორტუგალიამ ისე გაიარა სამი მატჩი, რომ ყბადაღებული მასპინძელთა დახმარების ფაქტორი არავის გახსენებია.

ლუიშ ფიგუ კი, თვალსადახელშუა, კვირა საღამოს დამდნარი და ნაჯაფი კაპიტანი ამბობდა: ყველა უნდა მოგვერიდოს, ყველა. იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი თამაში დავიჭირეთ. მადლობა ხალხს.

პორტუგალიელებმა კი მართლაც გულიანი და ზრდილობიანი ქომაგობა იციან. ვინც სტადიონზე იყო, იყო. ლისაბონში დიდი ეკრანები იდგა ეროვნულ პარკშიც, ზეიმი და სიხარული მთელი ღამე გრძელდებოდა მთელს ქვეყანაში. ამ მატჩმა ტელეყურების პორტუგალიელების მიერვე წინა ტურში დამყარებული რეკორდი მოხსნა. ხოლო ვინც სახლში იყო, ის სამხრეთულად მოიქცა: თამაშისას აივნებიდან იყვირა, მერე კი სამოსი გამოიცვალა, შარფ-დროშები მოირგო და დაიძრა მოზეიმე მანქანათა ქარავანი, რომელიც მოგზაურობდა მთელ ქალაქში ღამის თერთმეტი საათიდან. დროშები და მანქანებიდან გადმოკიდებული გოგონები, ბიჭები და სირენები, ქუჩის ფილებზე ხალხი და უბრალო გადაძახილები: პორტუგალ ალეეეე! პორტუგაააალ! ფერნანდეშ ტომაშზე ორ საათს არ გამწყდარა კოლონა და არც ალბათ სადმე სხვაგან. ეს პატარა გოგოები ისეთი ლამაზები იყვნენ, ეს ბიჭები კი ისეთი ზრდილობიანები, ეს დეიდები ისეთი გახარებულები და ეს ბიძები, სიგარებით კბილებში რომ აფრიალებდნენ დროშებს. და უცებ, ფერნანდეშ ტომაშზე გამოჩნდა ერთი უცხო კაცი, თეთ-ლურჯ-ნითელი დროშით და ასეთივე სამოსით. ეს ჯანიანი კაცი ამაყად მოაფრიალებდა სამფეროვან დროშას და დასძახოდა სიტყვებს უცხო ენაზე. ეს იყო კარგა შემთვრალი ჩეხი გულშემატკივარი, რომელიც, ალბათ სანტა კატალინას რომელიმე დუქნიდან გამოეხეტა და ავისმომასწავებლად მიანიშნებდა პორტუელებს, რომ გამარჯვება კარგია, მაგრამ მართლა გამარჯვება თუ გინდა, ისეთ მაგარ ბიჭებთან მოგიწევს საქმის დაჭერა, როგორებიც ნედვედი და მისი ამხანაგები არიან.

ეს ჩასაფიქრებელი საკითხია.

პორტუგალიამ დაამარცხა ესპანეთი და პირველ ნახევარ საათს ისეთი სისწრაფეები დაატრიალა მოედანზე, ისე იმოძრავა, რომ კაცი გაკვირდებოდა, მაგრამ ჩეხები ხომ 85-ე წუთზეც ასეთი სისწრაფით ახერხებდნენ თამაშს.

თუმცა ჯერ იქამდე შორია. ეს ერთი კვირა პორტუგალიისთვის სიამოვნებისა და სიხარულის დღეებია. ორშაბათ დილით მოულოდნელად წამოსულმა ნვიმამ პორტუელების ცხელი გულები თითქოს უკვე გააგრილა. და მაინც, პორტუგალიამ დაამარცხა ესპანეთი, მარადიული მეტოქე, ერთადერთი მეზობელი და ისტორიული მტერ-მოყვარე.

ნირწამხდარი მწვრთნელი საესი ამბობდა, არ მოველოდი, არ მოველოდიო. ესპანური მედია კი საესთან ერთად, ვინც თვითონ უყვარდა, მარტო იმათ ათამაშებდაო, ეროვნული ხასიათის თავისებურებებსაც კილავს. მერამდენედ, მერამდენედ? აი, შეკითხვა და ამ შეკითხვის პასუხად ვერ გამოდგება პორტუგალიელთა კარის ძელიდან ორჯერ ასხლეტილი ბურთი. ჰოლანდიელებმა რომ ძელს მოხვედრილები ითვალონ, ანდა კვირას პორტუგალიელებს რომ კარის ნინიდან აცილებულები ეთვალათ...

მრავალი საუკუნეა, პორტუგალიაში მისდევენ ესპანურ სანახაობას, კორიდას. ოლონდაც პორტუგალიური კორიდა ისეთივეა, როგორ პორტუგალიური ხასიათი. იქ ხარს არ კლავენ და არც მასთან მებრძოლი კვდება. მეტიც, ხარს რქებზე დამცავი ბუნიკებიც კი უკეთია. ორი საუკუნეა, ასეა. ორასი წლის წინათ მარკიზ მარიალვას ვაჟი ცხენდაცხენ ეპაექრებოდა ხარს, იმან კი გადმოაგდო და რქის ძგერით მოკლა. იმის შემდეგ მეფე ჟოზეფმა კორიდაში სისხლი აკრძალა და პორტუგალიური კორიდის დასკვნითი ბრძოლა რვა კაცისგან შემდგარი გუნდის გამოსვლაა. ამ გუნდს ფორკადოშ ჰქვია და ხარის გაკოჭვა ევალება. ბიჭები მწყობრად ჩადგებიან და პირველი მათგანი ხელებით რქებს უჭერს გამოქანებულ ხარს. სხვები ეხმარებიან და ყველაფერი ნამებში უნდა მოხდეს. სხვანაირად ფორკადოშებს ძალიან გაუჭირდებათ. მე მგონია, რომ კვირა საღამოს „ალვალადეზე" პორტუგალიამ მაინც არ იხმარა პიკე, რომელიც ალბათ საპლეიოფოდ თუ აქვს შემონახული და ესპანურ ხარს პირდაპირ რქებში სწვდა. სწვდა და წამოაქცია. ბოლო ორ თამაშში მასპინძლებს გოლი არ გაუშვიათ, მათი სისწრაფე და აღმაფრენა მოულოდნელიც კი დარჩა. ჟორჟე ანდრადემ კრისტიანო რონალდოს უეინ რუნივით მაგარი უწოდა, ღამით კი გამარჯვების ტკბილადშესარგებად ეროვნულმა ტელეარხმა RTP-მ ფადუს კონცერტი შეუშვა. იყო სამი გიტარა და მარიცას მოთქმასავით სიმღერა.

ჯგუფური ტურნირის მჭიდი კი შეუჩერებლად ისვრის. დღე ერთია და ბარე ორი განასროლი ვაზნა ვარდება. ტყვიები კი მიქრის.

ინაკი საესის დაცვითმა პრაქტიკამ, 4-2-3-1 თავის ნახევარზე მაინც ვერ უზრუნველყო კიდევ ერთი ესპანური დრამის თავიდან აცილება. ესპანეთი შინ წავიდა. რომანტიკას რომ შევეშვათ, ფასები ახლა სხვა ფეხბურთელებზე იზრდება.



# მეიდს იწს ლატვიას

**ვისაც** შაბათ საღამოს ის ბედნიერება არ ერგო, რომ ჯადოსნურ ქალაქ ავეირუს კიდეზე მოხვედრილიყო და ჩეხთა და ჰოლანდიელთა რკინისთვის ემზირა, იმას კეთილად გაულო კარი „ბესას“ სტადიონმა პორტუში, სადაც კარგ გრილ ამინდში ერთმანეთს შეებნენ ლატვიისა და გერმანიის გუნდები.

ლატვიელთა თამაშის ცქერა ქართველებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა. ამ უგოლო მატჩის მსვლელობისას სულ იმას ვფიქრობდი, თუ რა იოლია ფეხბურთი, როცა მას სწორად თამაშობ. ამ შემთხვევაში საშუალო ოსტატობაც კი გაგიყვანს ფონს. ამ საშუალო ოსტატობას კი თუ საბრძოლო განწყობაც დაემატა, მთლად ნამდვილი ფეხბურთი გამოვა.

ძველი გამოთქმაა, მგონი, ბილ შენკლისა: ფეხბურთი მარტივი თამაშია, ბურთი შენიანს უნდა გადააწოდო.

გერმანია, ცხადია, ესწრაფვოდა მოგებას და საამისო წამებიც ჰქონდა, მაგრამ მთელს ამ ამბავს ლატვიელთა მეკარის კარგი თამაში და იგორს სტეპანოვსის დიდი დაცვითი გამოცდილება და ბრძნული დირიჟორობა ეყო. სტეპანოვსი, რომელსაც ვენგერის კლასი გაუვლია, არა მარტო თავისიანებს დირიჟორობდა, არამედ 3 ათასამდე ლატვიელ გულშემატკივარსაც, რომლებიც მოუღლელად კი ამხნევებდნენ გუნდს, მაგრამ უჩვევობისგან ხმა მაინც ჩაუწყდებოდათ ხოლმე. გერმანელი გულშემატკივრები ხუთ-ექვსჯერ მეტი მაინც იქნებოდნენ, ოღონდაც ლატვიელებს მხარში ედგნენ თამაშზე მყოფი შვედები, ინგლისელები და საერთოდ ყველა, პრესცენტრის არაგერმანული ნაწილიც კი.

გერმანელი ფანები რატომღაც აგინებდნენ ჰოლანდიელთა მწვრთნელ ადვოკაატს (შეძახილით: კოკ ფორ დიკ და ზოგადად ინგლისს: ფაქ ინგლენდ), თამაშის შემდეგ კი ლატვიელებს გარჯა დაუფასეს და ლატვიაც დასძახეს.

ამ ჩემპიონატის მსვლელობისას მოედანზე, მგონი, პირველად გადმოისროლეს ყვავილები. რა თქმა უნდა, ლატვიელთათვის. მსაჯმა მაიკლ რაილმ ერთი გვარიანი პენალტი ვერ დაინახა გერმანელთა კარში, თუმცა ვერპაკოვსკისმა ისეთი სიჩქარით გაიარა ნახევარი მოედანი და გზად შეყრილი მცველები, რომ ვერდანახვაც დიდად არ გაემტყუნებოდა.

მოკლედ, ლატვია გუნდია, და როდის იქნება გუნდი საქართველო, რომელსაც მართლა უკეთესი შემსრულებლები ჰყავს, ვიდრე ლატვიას? ნიშანდობლივი ამბავი ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა ლატვია და არა, ვთქვათ, უკრაინა, ანდა ეს ჩვენი საქართველო — საბჭოეთის დროინდელი დიდი საფეხბურთო ქვეყნები.

ლატვია ძალიან უბრალო გუნდია: იქ მოთამაშეთა უმრავლესობა რუსია, მაგრამ რუსეთის ნაკრებზე უკეთესად და სწორად კი ირჯებიან. საინტერესო ისიც არის, რომ ლატვიელები უკან აღარ დაიხევენ. ზოგადად ფეხბურთს ვგულისხმობ. ანუ ისინი სულ წინ ივლიან. იქ უკვე მუშაობს სწორი ევროპული სქემები. ახლა ჩვენი ვიკითხოთ... ჟირესი ჩვენა გვყავს და რა მოგახსენოთ, ნუთუ ასეთი ძნელია სწორად თამაში?!

ლატვიელთა მწვრთნელი სტარკოვსი ჩემპიონატზე მოპოვებული ქულით ისეთი კმაყოფილი იყო, რომ პრესკონფერენციაზე ერთგვარად აქოშინებულიც კი მოვიდა: ლატვიელებმა ხომ ნამდვილი ზეიმი მოაწყვეს თავიანთი გულშემატკივრების ტრიბუნასთან.

სტარკოვსმა თქვა: ეს თამაში უკეთესი იყო, ვიდრე წინა. მატჩიდან მატჩამდე ვიზრდებით. ეს დიდი გამოცდილებაა.

საქმეც ეს არის, აბა, შენ წარამარა ისრაელს ეთამაშები და რა გამოცდილება უნდა მიიღო?!

ოღონდაც ის არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლატვიის დარ გუნდებს სწორედ ისეთ შემოქმედებით გუნდებთან უჭირთ თამაში, როგორიც ახლა სასიკვდილოდ დაჭრილი ჰოლანდიაა. თუნდაც ჰოლანდიის გუნდში ერთი ნახევარი მეორეს არ ელაპარაკებოდეს.

როგორ ვთქვა, მაგრამ ლატვია მისაბაძი შეიქნა ფეხბურთში. არა ფეხბურთელობაში, არამედ ფეხბურთში, რაზეც ჩვენს ვარსკვლავებს ეგებ გაეცინოთ და თავისებურ ენამწარობას მოჰყვნენ, მაგრამ აგე, ევროპის ჩემპიონატი და აგე, ლატვია. შენ კი სადა ხარ?

უყურეთ დანიას, უყურეთ საბერძნეთს და მერე იფიქრეთ საქართველოს შანსებზე მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში. შემაშფოთებელი ფიქრები იქნება, თუმცა ყოველივე ამას ალბათ ალენ ჟირესიც უყურებს.

შემოიარეთ ჩვენსა, კასა დი ტაპაშში, კაი ზაკუსკეულია და ფეხბურთზეც ბევრს ლაპარაკობენ. მშვენიერი დუქანია...

**გიო ახვლედიანი**

*პორტუდან*



ზურაბ მეძველია ავეირუდან

# უსმინეთ სტრაჩანს

## ისიამოვნეთ ფეხბურთით, ან ნუ იჩხუბებთ ფეხბურთის გამო

**დაჩაგრული რობენი და დამჩაგვრელი ადვოკაატი**

დრო არ გაყავდა. უბრალოდ, გაოგნებული იყო და არ სჯეროდა, რომ მისთვის ეს თამაში დამთავრდა. ტრიბუნები ლამის ჩამოიქცა — ჩეხი ფანები თავად მას აგინებდნენ, ჰოლანდიელები კი მის გამყვანს. ფერი არ ედო, თავდახრილი ჩავიდა სათადარიგო სკამის ბოლოში. მანამდე, 2 წუთით ადრე ვან ნისტელროის ბურთი თავზე დაასვა, მაგრამ...

მერე რას აკეთებდა, აღარ დამინახავს — მოედანზე ამბები ხდებოდა, ვინ გაცალა თვალის გაპარება. უკვე ბოლოს, როცა მსაჯმა იმ დღეს ბოლოს ჩასტვინა, წყლის ბოთლებს მიადგა და ირახუნა და ირახუნა.

10 წუთში უკვე მისი გამყვანი იჯდა ასობით ჟურნალისტის წინაშე ფერდაკარგული. დავასწრებო, იფიქრა და მატჩის მოკლე მიმოხილვაში არიენ რობენის შეცვლა იმით ახსნა, ტრავმას იშუშებდა დიდი ხანი და მის ზედმეტად დატვირთვას მოვერიდეო. შემდეგ, ტრადიციულად, 6 კითხვა დაისვა, აქედან 5 მაინც რობენის შეცვლას ეხებოდა.

— თავად გითხრათ, რომ დაიღალა?

— არა, ეს ტაქტიკური ცვლილება იყო, ნახევარდაცვაში დამატებით კაცი გვჭირდებოდა.

— აბა, რა შუაშია რობენის ტრავმა?

— ეს მისი პირველი თამაში იყო სამთვიანი მკურნალობის მერე.

და ა.შ. კიდევ კარგი, პრესკონფერენციის დრო შეზღუდულია. ამ დროს ყველაზე კარგად თავად იცოდა, რაც მიჰქარა.

❀ ❀ ❀

ზღაპარ იყო — ასე მოითარგმნება თამაშის მერე მედია-ცენტრში მყოფი ათასამდე ჟურნალისტის საერთო აზრი. ზღაპართან ასოციაცია კაცს ავეირუს მუნიციპალური და ევროპის ალბათ უჭრელესი სტადიონის დანახვისთანავე გიჩნდება და რაღა გასაკვირია, რომ ასეთი მატჩის მერე პირველად ის ვიფიქრე, ამ წერილის სათაურად „3 კაკალი კონკიასთვის“ მოუხდება-მეთქი (ჩეხური ფილმი გამახსენდა თავისი კარელ გოტით). 3 კაკალი 3 გოლია, მაგრამ სადაა კონკია?! ვინაა შენი კონკია, პაველ ნედვედი? თუ აგერ, გვერდზე მაგიდასთან მჯდომი ანტონინ პანენკა არაფერს გახსენებს? არა რა, რაც გინდა დაარქვი, გინდა „რობენ ჰუდი“ და გინდა „არშემდგარი მობი დიკი“ — ფაქტი ერთია: ავეირუში სეზონის საუკეთესო თამაში იყო, ნაღდად ზღაპრული. ლხინი იქა, ჭირი აქა — ასეთია ამ ზღაპრის ჰოლანდიური ვერსიის ბოლო, თუმცა ტრიბუნების ნარინჯისფერმა ნაწილმა ჩეხთა გუნდი მოედნიდან ისეთი ოვაციით გააცილა, აშკარად სთხოვდა, ეს ჭირი 23 ივნისს მეზობელ გერმანიაში გადაიტანე და მეც გამახარეო.

❀ ❀ ❀

ქომონ, ქომონ — ჩუმად ჩაილაპარაკა ლატვიელთა პირველივე კონტრშეტევისას. ეს ჩემი მეზობელია ავეირუს მედია-ცენტრის უზარმაზარ დარბაზში, სადაც 8 ტელევიზორია და ყველა გერმანია — ლატვიის რეპორტაჟს უყურებს. ალბათ ლატვიელია-მეთქი, გამოლაპარაკება და გუნდის შექება გადავწყვიტე, მაგრამ ხელთ შოტლანდიელი შემრჩა. სქოთი, მაგრამ რა სქოთი — გორდონ სტრაჩანი, შოტლანდიური ფეხბურთის ლეგენდა, მერე კი „ქოვენთრისა“ და ბოლო დრომდე „საუთჰემპტონის“ მწვრთნელი. თან რომ ვუყუროთ და თან ცოტაც ვისაუბროთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით-მეთქი. არაო.

— ფეხბურთელებს აკვირდებით თუ სხვა სტატუსით ხართ ამ ჩემპიონატზე?

— **BBC**-სთვის ვმუშაობ, ტელე და რადიო ტრანსლაციებისას ვეხმარები.

— მერე რას იტყვით, კარგი ფეხბურთია?

— კი, ნამდვილად. უინტერესო თამაშები თითქმის არაა. ზოგმა თქვა, ესპანეთი — რუსეთი არ ვარგოდაო, მაგრამ მე ვიყავი მაგ თამაშზე და ძალიან მომეწონა.

— გამოკვლილ ფაკტებს ხედავთ?

— არა. ხომ ხედავთ, ისეთი ჩემპიონატია, შეიძლება, ინგლისი, იტალია და პორტუგალია მეორე წრეში ვერც გავიდნენ.

— ინგლისის ნაკრები მოგწონთ?

— მაინცდამაინც შოტლანდიელის აზრი გაინტერესებთ მაგ გუნდზე? სერიოზულად კი იმას ვფიქრობ, რომ ამ გუნდმა ჯერჯერობით თავისი პოტენციალის 60-70 პროცენტი აჩვენა.

— ხორვატიას შეუძლია ინგლისის გამწარება?

— კარგი გუნდია, კინაღამ საფრანგეთს მოუგო. მართალია, შვეიცარიასთან დიდი ვერაფერი გააკეთა, მაგრამ პირველ თამაშში ნერვების მოთოკვა ყოველთვის ძნელია.

— ლატვიის ნაკრებზე რას იტყვით?

— მომწონს, გამართულ ფეხბურთს თამაშობს და არ გამიკვირდება, თუ დღეს პირველ ქულას მოიპოვებს.

— აგერ, გერმანიას კუყურებთ და 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გამახსენდა, როცა მაგათ კარში გოლი გაიტანეთ, სარეკლამო დაფასთან მიირბინეთ, ფეხი შემოდგით და ასე აღნიშნეთ წარმატება. რამდენადაც მახსოვს, მანამდე და მას მერე ასეთი რამ აღარ გაგიმეორებიათ. რას ნიშნავდა ეს ფეხის შემოდგმა?

— არც არაფერს, ვიფიქრე, მაგ დაფას გადავახტები და ტრიბუნებთან მივირბენ-მეთქი.

— წლეულს თავად გადადექით „საუთჰემპტონის“ მწვრთნელობიდან. არ გიჭირთ ფეხბურთის გარეშე?

— არა, რატომ ფეხბურთის გარეშე?! აგერ, დავდივარ, ვუყურებ და ფეხბურთისგან კვლავ სიამოვნებას ვიღებ. თან ჩემი ოჯახი მეტად კმაყოფილია — ხშირად ვმოგზაურობ, ახლახან ამერიკაში ვიყავით და ჩემს გემოზეც ვიცურავე ოკეანეში.

...მისტერ სტრაჩან, სტუდიაში გთხოვენ.

და ის ადგა და წავიდა, პატარა, კვიმატი შოტლანდიელი ცოცხალი თვალებით.

უსმინეთ გორდონ სტრაჩანს: ისიამოვნეთ ფეხბურთით, ნუ იჩხუბებთ ფეხბურთის გამო.

დროებით.

**გორდონ სტრაჩანი მუდამ ფეხბურთით ცხოვრობს**

# EURONEWS

კრისტიან ვიერიმ...

# კაცი ვარ, არაკაცებო!

## ვიერიმ პრესა გაპრესა

*კრისტიან ვიერიმ ჯერ იტალიური პრესა-ტელევიზიის წინააღმდეგ გაილაშქრა, შემდეგ კი საყოველთაო დუმილი გამოაცხადა. ამიერიდან ჟურნალისტებს შეუძლიათ ამაოდ არ დაშვრნენ და „ინტერისა“ და „სკუადრა აძურას“ ფორვარდს კომენტარზე არ მიაკითხონ.*

*რამ გამოიწვია ვიერის განრისხება? ცნობამ იმის თაობაზე, რომ მას და მეკარე ჯიჯი ბუფონს შელაპარაკება მოუვიდათ*

„აი, ამ სიტყვებსაც გეტყვით და მორჩა, ჟურნალისტებს მეტს აღარ დაგელაპარაკებით. თქვენ ამბებს პირდაპირ იგონებთ და ჩვენზე გამანადგურებლად მოქმედებთ. მე ყოველ დილით შემიძლია სარკეში ჩავიხედო და ჩემს თავს თვალი გავუსწორო, ბევრი თქვენგანი კი ამას ვერ გააკეთებს, რადგან მზერა აქვს უპატიოსნო“.

დავაზუსტოთ: ცნობა იმის შესახებ, რომ ვიერიმ და ბუფონმა შვედებთან თამაშის შემდეგ იჩხუბეს, გაზეთ „მასაჯეროში“ ეწერა.

„თქვენ ჩემი თამაშის ანალიზს ვერ გააკეთებთ, რადგან გულწრფელად გეტყვით და რას დაწერთ ჩემთვის სულერთია. ცხადია, უფლება იმისა, რომ მოსაზრება გამოთქვათ, გაქვთ, მაგრამ ადამიანზე თავდასხმის ნება თქვენთვის არავის მოუცია. როგორც კაცს, ვერავინ შეურაცხმყოფს, რადგან ამას არ დავუშვებ. მე გაცილებით ღირსეული ადამიანი ვარ, ვიდრე თქვენ ყველანი ერთად აღებული. ათასჯერ გამომიხატავს თქვენდამი პატივისცემა, თქვენ კი ერთხელ არ გიპასუხიათ იგივეთი“.

დავძინოთ: იტალიის ნაკრების პრესოფიცერი, ანტონიო ვალენტი ვიერის პოზიციას იმით გამოექომაგა, რომ განაცხადა, ვიერის და ბუფონს ჩხუბი არ მოსვლიათო.

„ამბავი ჩხუბის შესახებ უსაფუძვლოა — ბრძანა ვალენტიმ — ბუფონმა, ვიერიმ და მათმა ოჯახებმა მატჩის შემდგომ ერთ მაგიდასთან ივახშმეს — და ეს ფაქტია“.

„მასაჯეროში“ გამოქვეყნებულმა ამბავმა მეკარეც გააოცა:

...ჯიჯისთან გასაყოფი რა მქონდაო

„წარმოდგენა არ მაქვს, რატომ იგონებენ ამ ისტორიებს. ნუთუ სადღაც ჩვენს გუნდში არეულობის შემოტანის გეგმა არსებობს?“ — განაცხადა ბუფონმა.

უკმაყოფილო ჩანდა სტეფანო ფიორეც. მან თქვა:

„ბუნებრივია, ასეთი ცნობები გვაბრაზებს. ის, რაც გაზეთში ეწერა, არ მომხდარა. არ ვიცი, საიდან იღებენ ჟურნალისტები ამ ამბებს, ხოლო ჯიჯი და ბობო რომ განრისხდნენ, ამაში გასაკვირი არაფერია“.

**პაპუნა კვედია**

# ქალებმა კაცურად შეუბერეს



*ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა მეუღლეები ოთხსაათიან ლოთ-ფართიზე დეივიდ ბექემის ცოლმა, ყოვლადცნობილმა და მშვენიერმა ვიქტორია ადამსმა წაიყვანა და, ვინ იცის, ლისაბონის რესტორან „ლა ტრავესაში“ მომსახურე პერსონალმა რამხელა პირი დააღო, როდესაც ერთბაშად 22 ქალბატონი მიადგა კარს... თუმცა, არა, წინასწარ ექნებოდათ ყველაფერი შეკვეთილი და პერსონალიც იმთავითვე მზად იქნებოდა სტუმრების დასახვედრად.*

*მოქეიფეთა შორის ბრძანდებოდნენ სტივენ ჯერარდის საყვარელი ალექს კარანი და უეინ რუნის საცოლე კოლინ მაკლაფლინი. იქვე და, როგორც ჩანს, ჩინებულ ფორმაშიც ბრძანდებოდა სვენ გორან ერიკსონის საყვარელი ნენსი დელოლიო, რომელსაც თურმე შავი შემოტკეცილი კაბა შვენოდა — ასე გვამცნობენ ინგლისელი პაპარაცები და მსგავს საქმეებზე გაწაფული რეპორტიორები.*

*ნუ, ფრენკ ლამპარდის სატრფო ელენ რიბენსი კი წინიდან იყო ბრწყინვალე შესახედავიო.*

# EURONEWS

**eurofan2004@hotmail.com**

# მითხარი ვინ არის მანუჩარი და გეტყვი ვინ ხარ შენ

ნებისმიერ ამბავში მთავარი კვანძის გახსნაა. გუშინ კი მივიღე წერილი, რომელიც ფარდას ხდის მანუჩარის ბურუსით მოსილ პიროვნებას და სრულად აკმაყოფილებს იმ გულშემატკივართა ინტერესს, რომლებსაც ალალად აინტერესებთ, ვინ არის და ვისი გულშემატკივარია მანუჩარი. სიმართლე გითხრათ, წერილის შინაარსი, რომელზეც ვლაპარაკობ, ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, პირი ღია დამრჩა. ხოლო იმ მკითხველს, მანუჩარზე არაფერი რომ არ სმენია, მოვახსენებ, რომ ვინმე მანუჩარმა შავი დღე აყარა „სკუადრა აძურას“ და ქართველი „იტალიელების“ რისხვა დაიმსახურა. მოკლედ, მანუჩარის გამოააშკარავებელი წერილი:

**PHIPHIA**: მოგესალმებით ყველას!!! რამოდენიმე დღეა, ყველა მანუჩარზე წერს და აგერ გუშინ, ვებმასტერმა ბუარამ მადლობაც გამოუცხადა. არაერთხელ დაისვა კითხვა: ვინ არის და ვისი გულშემატკივარია მანუჩარიო. შემიძლია დაბეჯითებით გიპასუხოთ: მანუჩარი ჩემი მეგობარია და ამ ქვეყნად ერთადერთ ნაკრებს გულშემატკივრობს და ისიც... იტალიას!!! გაგიკვირდათ? ახლავე აგიხსნით!!! ვიცი, ყოველდღიურად კითხულობს „სარბიელს“ და თქვენი რუბრიკის წაკითხვისთანავე გამიჩნდა იდეა მისი გაშაყირებისა. წარმომედგინა მისი სახე, როდესაც საკუთარი სახელით გალანძღულ იტალიაზე წაიკითხავდა. ახლა მანუჩარის დავალებას ვასრულებ — საკუთარი ნებით უნდა ვაგინო ჰოლანდიას!!! მაგის ადვოკაატს და ადვოკაატის ადვოკატებსაც!!!

**P.S.** მაგრამ მაინც, ჩეხებთან იმ ერთი წაგებული მატჩის წაგება ღირდა იტალიის ფინალში ჯახირს.

უყურე შენ, რაში ყოფილა საქმე?! იმ ჩემმა თანამშრომელმა, თავის დროზე ბრაზიანი სახით რომ მთხოვდა მანუჩარის მისამართს, ეს წერილი რომ წავაკითხე, გაბადრულმა მითხრა, მომიკითხე მანუჩარი, ძმა ყოფილაო.

მოკითხვა მანუჩარს და, რა თქმა უნდა, შენც **PHIPHIA**-ო.

მანუჩარი ძმაკაცს კი გაუშაყირებია, მაგრამ ხალხი გვყავს, იტალიას სიამოვნებით რომ ლანძღავს.

**GIORGI_5** „სარბიელს“ გაუმარჯოს, თქვენი მიმოხილვა წაიკითხე, შაბათის, მანუჩარის აზრი (ჩვენ უკვე ვიცით, რომ ის მანუჩარის აზრი არ იყო) ძალიან მომეწონა. მთლიანად დავეთანხმებოდი, რომ არა, გერმანიის ასე უხერხულად მოხსენიება. რა სჭირს გერმანიის ნაკრებს ასე საქილიკო. ყველამ თავის ნაკრებს მოუაროს და ყველაფერი კარგად იქნება. წინილებს 5 ივლისს დაითვლიან. დანქე „სარბიელი“, ჯიგრები ხართ.

**P.S.** ისე, მანდ „სარბიელში“ გერმანიის გულშემატკივრები არავინ გყავთ?

გერმანიის გულშემატკივრები როგორ არ გვყავს: ერა, კახა, კობა და დათო. მაგრამ მე სხვა რამე მადარდებს, ერთი წერილი მაქვს, **LESO2**-სგან და პირდაპირ არ ვიცი, როგორ დავბეჭდო. ცოტა მოგვიანებით დავბეჭდავ.

იქამდე კი ერთი ძალიან, ძალიან მაგარი წერილიც მივიღე, პირველი წინადადება რომ წავიკითხე, გული ამიჩუყდა და თვალზე ცრემლი მომადგა. ჩვენი ძველი ნაცნობი, ინგლისის გულშემატკივარი თიკო მწერს: გამარჯობა, ჩემო ძვირფასო ბუარა! დიდი მადლობა, რომ ასე მხარში მიდგეხარ და როცა ინგლისის ნაკრებს შეურაცხყოფას აყენებენ, ჩემს მაგივრად იცავ.

თქვენ ხომ არ იცით, როგორ გასკდნენ გულზე „სარბიელის“ ბიჭები!

ამ გულისამაჩუყებელი შესავლის მერე თიკო წერს: რა ვქნა, არ შემიძლია, რომ ლესო-2-ს გამოვეხმაურო, ბექემი მარტო რეკლამა არ არის. აბა, მითხრას, მასავით საფირმო პასებით ვინ ამარაგებს თავის გუნდს. ალბათ თითებზე ჩამოსათვლელია ასეთი გუნდები. ჰო, შეიძლება, ზიდანივით და კრისტიანო რონალდოსავით ვერ ატყუებს მეტოქეს, მაგრამ ყველას თავისი ძლიერი მხარეები აქვს. რაც შეეხება ბექემის სარეკლამო საქმიანობას, მე მგონი, ლესო-2-ისთვისაც რომ შეეთავაზებინათ მილიონიანი კონტრაქტი, არა მგონია, რომ უარი ეთქვას.

და კიდევ მინდა ჩემი აზრი მოგახსენოთ იმის შესახებ, რომ ვინც ფულზე თამაშობს, ის ნამდვილი ქომაგი არ არის. როგორ შეიძლება შენს საყვარელ გუნდზე ფული დადო, მერე თუ წააგო, ასპროცენტიანი აგინებ, იმიტომ, რომ შენი ფული დაგენანება. და როცა გუნდს აგინებ, ეს სიყვარული არ არის. ბოლოს მინდა ჩემს ბიჭებს წარმატება ვუსურვო, მართალია, ძალიან შორს არიან ჩვენგან, მაგრამ მე და თამთა (ჩემსავით ინგლისზე გაგიჟებული ფანი) ყოველთვის ვილოცებთ მათი წარმატებისთვის! გაუმარჯოს ინგლისს!

იმ ჩემმა თანამშრომელმა, ჯერ მანუჩარის მისამართს რომ მთხოვდა გაბრაზებული სახით, მერე თიკოს მისამართს რომ მეხვეწებოდა, ბოლოს კი მანუჩარი ჯიგარიაო, იძახდა, ახლა თავზე მადგას და მეხვეწება, თამთას მისამართი მაინც გამიგეო.

**LESO2**-მა კი თიკო ხომ გააბრაზა, ახლა **NATIA1111**-ის გაბრაზება უნდა. ნათია გუშინ გვწერდა, დანიის ჩემპიონობაზე 100 დოლარი მიდევსო.

**LESO2** ნათიას პასუხობს: გაუმარჯოს იტალიის ბალეშჩიკებს. ჰა, როგორ მოგეწონათ მისი აღმატებულება ბუნდესნაკრები? გერმანიის ბალეშჩიკებო, რამე ქენით, თორემ კვდება ერმანული ფეხბურთი (თუ უკვე არ მოკვდა), **NATIA1111**-ს გამოვეხმაურები და ვეტყვი, რომ ეგ 100 ბაქსი დაკარგულია, დანია ჯგუფიდან ვერ გავა, შვედეთი და იტალია გავლენ. იტალია ჩეხებს დაეჯახება და გააფარჩაკებს, მერე ჩემპიონი გახდება. ჰო კიდე, ეს ესპანეთი რა ყოფილა? ეტყობა, გერმანიას ეჯიბრება.

Forza Italia, Forza Juve

ე ბიჭო, გერმანიის და ესპანეთის გულშემატკივრებო, ამოიღეთ ხმა, ხომ ხედავთ, დაგცინიან.

მომდევნო წერილი კიდევ ერთი ძველი ნაცნობისგან, **GIO_KHUTSO**-სგან მივიღე და ეს წერილიც ისეთივე გრძელია, როგორიც პირველი იყო. მაგრამ ახლა შშვიდად ვარ, რადგან GIO წერს: რაღაც ამ ევროპის ჩემპიონატმა წერის იშტაზე მომიყვანა და თუ ეს წერილიც დიდი გამოვა, ნუ ინაღვლებთ იმაზე, რომ „სარბიელში“ ვერ დაეტევა.

ნუ, რაკი კაცი წერის იშტაზეა და მეც შშვიდად ყოფნის უფლებას მაძლევს, **GIO**-ს წერლს ალაგ-ალაგ წავიკითხავ: მაშ ასე, მეორე ტური და პირველი სიხარული, რუსეთი პირველი გავარდა. ამ ამბავმა უეჭველია, არა მარტო მე, არამედ ყველა ჭეშმარიტი ფეხბურთის ფანი გაახარა. აფსუს! ჰოლანდია უნდა ჩარჩეს ჯგუფში და უსახური გერმანია უნდა გავიდეს? პირველი შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ გერმანიამ გულისამრევად ითამაშა, უფრო სწორად, იფართხალა როგორც თევზმა ქვიშაზე, კიდევ და კიდევ ბრავო ლატვია და სტარკოვსი და ვერპაკოვსკისი! ეგ ვინა ყოფილა, კაცო! კურდღლების სიას კი დიკ ადვოკაატიც შეემატა. ვერ გავიგე, რისთვის წაიყვანა მაკაი და კლუივერტი საერთოდ. ალბათ ლატვიელთა დასაბომბად ინახავს. აწი ბომბონ და იყონ. მე კი ველი ხორვატია — ინგლისის ჯიგრის ხევას. მგონი, კარგი რამ უნდა გამოვიდეს, არა? ბარიჩი კი მართალია: პატარებს ჩაგრავენ!!! ასე არ შეიძლება, უეფაჯან. აი, ასეეეეეეე... აბა, დროებით, ჯგუფური ეტაპის ბოლომდე.

**P.S.** საბერძნეთ ჩემპიონ!

ხალხო, ვინმეს გჯერათ საბერძნეთის ჩემპიონობის? ჰა? არა? ეჰ, ჩემო **GIO**, ვერავინ ვიპოვე მხარი რომ აგიბას.

**MEZVRO** კი, რომელმაც გუშინ **SUXIT**-ას მეილიდან გამოგზავნა წერილი, **GIO**-სგან განსხვავებით მეჩხუბება, დროზე ვერ მითხარი, გრძელი წერილების წერა თუ გეზარებოდაო და შვედეთი — დანიის დვა დვას აწვება: ძაან მეწყინება, შვედები და დანიელები წყნარად 2:2-ს თუ გააგორებენ. ასეთ შემთხვევაში, მათ სულით და გულით ვუსურვებ კისრის წატეხვას მეოთხედფინალში. არ მჭირდება დადგმული თამაშები. ბლომად ვუყურე მსგავსს მსოფლიოზე, ოღონდ მსაჯების ხელშეწყობით.

იტალიამ თუ ბულგარელებს ვერ მოუგო, რაც თვითონ შეიძლება გაიჩალიჩონ, როგორც შვედებთან გაიჩალიჩეს, არც არაფრის ღირსი ყოფილა და თავიც აღარსად უნდა გამოვყოთ.

და ლატვია, კაია მსგავსი გუნდები რომ არსებობენ. დაინახოს ყველამ, რომ არაა საჭირო სუპერფეხბურთელებს მოუყარო თავი, მთავარი მონდომებაა და საქმის სწორად კეთება. აბა, წინ ფინალისკენ, გუნდებო. მოკლედ, მსურს გავიდეს ჰოლანდიაც და იტალიაც ჯგუფიდან, რადგან დანია — ჩეხეთს, მაგალითად, ისევ იტალია — ჰოლანდიის ყურება მირჩევნია ნახევარფინალში.

გესმით, ბატონო მერაბ, საქმის სწორად კეთება ყოფილა საჭიროო.

**MEZVRO**-მ კი, წელან რომ გამიბრაზდა, კიდევ ერთი ისეთი წერილი მომწერა, მაგრა გამახარა.

თავის მორიგ წერილში **MEZVRO** მწერს: კარგი წამოწყებაა, იქნებ საფეხბურთო სეზონის განმავლობაშიც გააგრძელოთ ეს იდეა (ჩემპიონთა ლიგის შესახებ პერიოდულად მიიღოთ წერილები), ხალხს გაუსწორდება, თავის აზრებს გაზეთის ფურცელზე რომ გამოუქვეყნებენ. თუ შენ ხარ ამ იდეის ავტორი, კარგ ხელფასს გამორჩები ალბათ.

პატივისცემით გიო.

ჩემო გიო, ოგივე **MEZVRO**, თუ ამ ბოლო დღეებში რამემ გამახარა, თიკოს და შენი წერილები იყო. თქვენ კი, ბატონო „სარბიელო“, ხომ გაიგეთ, ხელფასი უნდა გამიზარდო!

**ვეზმასტერი ბუარა**

**eurofan2004@hotmail.com**



## ფრეის ფურთხი დაიჭირეს!

შვეიცარიელი სებასტიან ფრეი მეტად დახვეწილი მიმფურთხებელი ყოფილა. გერმანული ZDF-ის გადაღებულ კადრში ჩანს, რომ სტივენ ჯერარდის ზურგსუკან მყოფი ფრეი „აქლემობს“, თუმც კადრი ბუნდოვანია და სამხილად არ გამოდგა. ამიტომ გუშინ დისციპლინარებმა ფეხბურთელი გაამართლეს და საქმეც თითქოს ჩაიფარცხა, მაგრამ...

იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ შვეიცარიულმა ტელეარხმა SF DRS-მა ZDF-ის ტექნიკას აჯობა. SF DRS-ის ოპერატორებს სებასტიან ფრეის ფურთხი „დაუჭერიათ“. ამჯერად უკვე აშკარად ჩანს ასეთი ეპიზოდი: სებასტიან ფრეიმ სტივენ ჯერარდს კეფაში მიაფურთხა. ინგლისელმა კისერზე ხელი მოისვა, უკან მიიხედა და ცხვარივით უწყინარი, თავგაქინდრული შვეიცარიელი დაინახა, რომელიც ვითომ არაფერი მომხდარაო, მშვიდად გასცილდა ჯერარდს.

ამ ფაქტის შესახებ დისციპლინარებს ჩაუკაკლეს, საქმე გუშინაც გაირჩა და ფრეის თხუთმეტდღიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ივიცა ოლიჩი წამალში უბრალოა

ხორვატ ივიცა ოლიჩის სისხლში აკრძალული ნივთიერება უპოვეს, მაგრამ ფეხბურთელს არ დასჯიან. ის საფრანგეთთან მატჩის შემდეგ შეამოწმეს და მეთილპრედნიზოლონი აღმოუჩინეს, რომელიც უეფას „შავ სიაშია“ შეტანილი.

ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციას ანტიდოპინგური კომიტეტი წესის დარღვევის გამო 6 600 ევრო გადაახდევინეს. ფედერაციამ ექიმ ზორან ბატიარევიჩს გაფრთხილება აკმარა, ხოლო მის კოლეგა ბორის ნემეცს, რომელიც ოლიჩს მკურნალობდა, საყვედური გამოუცხადა.

ივიცა ოლიჩმა 5 ივნისს დანიასთან ამხანაგურ მატჩში ნეკნი იტკინა და ორი დღის შემდეგ ნემეცმა ტკივილგამაყუჩებელი წამალი შეაშველა, რომელიც მეთილპრედნიზოლონს შეიცავს.

სადისციპლინო კომიტეტის წესის თანახმად, ფეხბურთელისთვის ასეთი წამლის მისაცემად საგანგებო ნებართვაა საჭირო, ექიმებმა კი ეს არ გააკეთეს და ხორვატთა ფედერაციის სალაროც ამიტომ ოდნავ შეთხელდა. ივიცა ოლიჩის დისკვალიფიკაციას რაკი გადარჩნენ, 6 600 ევროს ვინღა დაეძებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნუ იქნება 2:2



ჯოვანი ტრაპატონი

გადადგომის არ მეშინია — ამბობს ბულგარელთა თავკაცი პლამენ მარკოვი, გადადგომაზე არაფერს ამბობს „სკუადრა აძურას“ გურუ ჯოვანი ტრაპატონი. არადა, საქმე იქითკენ მიდის, ეგებ ორივეს კარისკენ მიუთითონ. მარკოვისგან განსხვავებით უკეთესადაა ტრაპატონის საქმე, მის გუნდს ჯერაც აქვს ჯგუფიდან გაღწევის შანსი, ამიტომაც ტრაპატონის დათხოვნაზე ჯერ ხმამაღალი სიტყვაც არ თქმულა და კიდევ იმიტომ არ თქმულა, რომ იტალიას სისხლში აქვს გამჯდარი ჯგუფში მძიმე-მძიმედ თამაში, ბოლოს კი მიზანს მაინც აღწევს. მათი ფანები კი ტრადიციას პატივს სცემენ და ეგებ ბევრიც ხელებს იფშვნეტს სიამოვნებით — ჯგუფიდან გავალთ და იმის იქითაც დიდხანს ვივლითო, მაგრამ ამ ტრადიციულად მძიმე ჯგუფურ ჯაჯგურში ერთი, არცთუ უმნიშვნელო ნიუანსია გასათვალისწინებელი...

დუე-დუე, ბასტა — გაჰყვირის „რაი უნო“, ანუ თუ შვედეთ-დანიამ 2:2 გააგორა, ყველაფერი დამთავრდებაო. ეს მართლაც ასეა, ვიკინგთა უხვგოლიანი ფრე და იტალიამ სულაც 10:0 რომ გადაურბინოს ბულგარეთს, მაინც ჯგუფში ჩარჩება. აქ კი უკვე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ფრანკო კარაროს მოვუსმინოთ— ფეირ პლეის პრინციპმა უნდა იზეიმოს, დარწმუნებული ვარ, დანია და შვედეთი გარიგებით თავს არ დაიმცირებენ და გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. ეს ასე უნდა იყოს, ჩვენ კი ჩვენსას მივხედავთო, ამბობს სინიორ კარარო და ცხადია, საითკენაც ერეკება. საკითხავი კი ის არის, როდესაც ორი გუნდი ერთმანეთში თამაშობს და ფრე ორივესთვის სასურველია, თანაც ამით ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტს და კონკურენტს ჯგუფში ტოვებს, რატომ არის ფრედ თამაში დამამცირებელი. მოკლედ, იტალია ყველა წმინდანს შესთხოვს შვედეთ-დანიამ სასურველი ფრე რომ არ გააგოროს, თუმც თავისი თამაში ხომ იტალიელებსაც მოსაგები აქვთ, თანაც დიდი ანგარიშით. შეძლებს იტალია ბულგარელთა განადგურებას? შეეძლებთო, იქადნებიან აძურელები. შეძლებენო, გაჰყვირიან მათი ქომაგები, მაგრამ ჩვენ ვერაფრით ვივიწყებთ იმას, რომ ორ მატჩში იტალიელებმა კინკილა გოლის გატანა მოახერხეს.

რა თქმა უნდა, ბულგარეთი ვერ არის დანია-შვედეთის დონის გუნდი. მაგრამ იტალიაც რომ არ ჰგავს საკუთარ თავს. გავიხსენოთ, რომ ნახევარდაცვაში დიდი პრობლემა აქვს ტრაპატონის გუნდს და ის ერთადერთი გოლი სათადარიგოდ მოაზრებულმა კასანომ გაიტანა, ანუ, იტალიის დამრტყმელი შემტევები: დელ პიერო და ვიერი, მეტი რომ არ ვთქვათ, ვერ არიან სასურველ ფორმაში.

ალესანდრო დელ პიერო

ვიერი ჟურნალისტებს შემოსწყრა, ცხოვრებას გვიმწარებთ დილიდან საღამომდეო. იტალიურ პრესაში დაიბეჭდა, ვიერიმ და ბუფონმა დედები აგინეს ერთმანეთსო. ამას ჭორი და სისულელე უწოდა ვიერიმ და დაიგინ-დაიფიცა, ჟურნალისტებს თუ როდესმე დაველაპარაკოო.

ვიერის სხვა პრობლემაც აქვს — შესიებულმა მარცხენა მუხლმა ექიმთან მიიყვანა.

ბულგარეთთან ვერ ითამაშებენ ფაბიო კანავარო და ჯენარო გატუზო. ორივე დისკვალიფიცირებულია. გატუზოზე კი ხუმრობენ, საგანგებოდ მიიღო ყვითელი ბარათი შვედეთთან, იტალიაში რომ გადაფრენილიყოო. მილანელ მეომარს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი აქვს: მეგობარმა მონიკამ შვილი გაუჩინა და გატუზომაც მოკლევადიანი შვებულება აიღო მონიკას ნაჩუქარ გაბრიელას სანახავად.

ცოტა რამ ბულგარეთზეც ვთქვათ: უეფა მათ დაჯარიმებას აპირებს დანიელებთან გამორჩეული უხეშობის გამო. შვიდი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მოუგროვდა მარკოვის გუნდს ვიკინგებთან. ამით თავად მწვრთნელიც აღშფოთებულია, მეტისმეტი მოუვიდათ ჩემებსო. მოკლედ, ბულგარელებს ბლომად დისკვალიფიცირებულნი დაუგროვდათ და დღეს მარკოვი ხუთ იძულებით ცვლილებასაც ამზადებს ძირითადში. ტრავმირებულია ივაილო პეტკოვი და მას ილიან სტოიანოვი შეცვლის. ძირითადს დაუბრუნდება პრედრაგ პაჟინი, ვინაც განტევების ვაცად აქციეს თანაგუნდელებმა შვედეთთან განადგურების შემდეგ. პლამენ მარკოვს არ დაუკონკრეტებია, თუ ვის ათამაშებს წინა მატჩში გაძევებული კაპიტნის, სტილიან პეტროვის ნაცვლად, თუმც სავარაუდოდ, კაპიტნის შემცვლელი ბულგარული ფეხბურთის იმედი, ვალერი ბოჟინოვი იქნება.

პაატა ძვანტალიანი

**C ჯგუფი. III ტური. დღეს**

**გიმარაეში. აფონსო ენრიკეში. 23.45**

## იტალია — ბულგარეთი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუფონი; პანუჩი, ნესტა, მატერაცი (ან ფერარი), ძამბროტა; ფიორე (ან კამორანეზი), პირლო, პეროტა; კასანო, დელ პიერო, ვიერი

ზდრავკოვი; ვ. ივანოვი, პაჟინი, ზაგორჩიჩი, სტოიანოვი; პეევი, მ. პეტკოვი, ხრისტოვი, მ. პეტროვი; იანკოვიჩი, ბერბატოვი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**C ჯგუფი. III ტური. დღეს**

**პორტუ. ბესა. 23.45**

## დანია — შვედეთი

**სავარაუდო შემადგენლობები**

სორენსენი; ჰელვეგი, ლაურსენი, ჰენრიკსენი, ნ. იენსენი; გრონკიაერი, გრავესენი, დ. იენსენი, იორგენსენი; ტომასონი, სანდი

ისაკსონი; ნილსონი, მელბერგი, იაკობსონი, ედმანი; ვილჰელმსონი, ლინდეროტი, ა. სვენსონი, ლიუნგბერგი; იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)



# მორტენ ოლსენმა პატიოსნება დაიფიცა

მოგეხსენებათ, თუ დღეს შვედეთმა და დანიამ 2:2 ან მეტგოლიანი ფრე ითამაშეს, იტალიამ ბულგარეთს რა ანგარიშითაც უნდა მოუგოს, ჯგუფში ჩარჩება. მეოთხედფინალში კი სკანდინავიელები გავლენ.

ჰოდა, ატყდა იტალიურ პრესაში ერთი ამბავი, დანია და შვედეთი მოილაპარაკებენ და ჩაწყობილ 2:2 ითამაშებენო. ისე, ჩვენშიც უამრავი ადამიანია, ამ გარიგებაზე რომ ლაპარაკობს.

გუშინ დანიის ნაკრების მწვრთნელს, მორტენ ოლსენს პრესკონფერენციაზე ჰკითხეს ამის თაობაზე და კითხვის ავტორმა რისხვა დაიტეხა თავზე.

— რა გგონიათ, მე ვინ ვარ — გაცხარდა ოლსენი — მეკითხებით, პატიოსანი კაცი ვარ თუ არა?! ეს შეურაცხყოფაა. ამაზე პასუხს არც გაგცემთ.

მოკლედ, ოლსენი ისე გაბრაზდა, რომ გარიგებაზე ლაპარაკი ზედმეტი უნდა იყოს. მაგრამ ვთქვათ და, თამაში ალალი 2:2 დამთავრდა, ვინ გინდა დააჯერო, რომ ჩაწყობილი არ იყო.

გარიგებას ცხადია, შვედებიც უარყოფენ. ჰენრიკ ლარსონი იმუქრება, თავს არ დავზოგავთ და მოვიგებთო.

თუმცაღა, შვედები მაინც უფრთხიან დანიელებს, რომელთა გარემარბები, იესპერ გრონკიაერი და მარტინ იორგენსენი, შვედებისავე თქმით, საუკეთესონი არიან ამ ევროპის ჩემპიონატზე, შვედთა მენეჯერის ბენი ლენარდსონის მტკიცებით, ამ წყვილს ოდენ ვისენტე და ხოსება ეჩებერია თუ შეედრებიანო.

ისე კი, დანიური ფეხბურთი ყველაზე არასკანდინავიურია სკანდინავიელთა შორის.

მეორე მხრივ კი, თუ დანიას იორგენსენი და გრონკიაერი ჰყავს, არც შვედები არიან წყალწაღებულები, ჰენრიკ ლარსონით და ზლატან იბრაჰიმოვიჩით იწონებენ თავს. იბრაჰიმოვიჩს, არაფრისგან რომ შეუძლია გოლის გამოდნობა, იტალიასთანაც აჩვენა და ხალხი იძახის, რაღა ეგ და რაღა რუუდ ვან ნისტელროიო.

დღეს შვედებს ალბათ ისევ არ ეყოლებათ მარჯვენა მცველი ტედი ლუკიჩი, ანუ ამ ზონას ისევ მიკაელ ნილსონი შეავსებს.

დისკვალიფიცირებულია ნახევარმცველი ტობიას ლინდეროტი, რომელსაც კიმ კალსტრიომი შეცვლის. კალსტრიომს იტალიასთან და ბულგარეთთან ურიგოდ არ უთამაშია.

დანიის ნაკრებში კი დენის რომედალს ალბათ გრონკიაერი შეცვლის. რომედალი ფეხს იტკივებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |



# ოპიუმი

ერთიანი
ფიზიკოსია

ახლა რომელ
ამაკრძალულან,
პორტუგალიელ ჩემპიონი
თუ გახდა, მერე სად
აძვრებიან?

YES!
ოლონდ
პორტუგალიურად

ამ ყოცნით
გაუმარჯოს
ჰელადოსს!

სევდიანი
ესპანური
ჩახუტება

სერენა
და ვინუს
უილიამსებს
ჩოგბურთის
ბურთი ეპატარავათ

რუსმა ივანებმა
ესპანელი
ივან ელგერაც
გაიყოლიეს

*ლატვიასთან ფრე გერმანიაში კვლავაც მთავარი სასაუბრო თემაა. მედიამ რუდი ფიოლერის გუნდი უკვე საკმაოდ გაწეწა. ამჯერად ჟურნალ „კიკერის“ გამომცემლის, კარლ-ჰაინც ჰაიმანის ნაზრევს გთავაზობთ*

# გერმანიამ ლატვია ვერ მოინელა

ჰოლანდიასთან შეხვედრის შემდეგ ყველას გვეგონა, რომ კარგი ნაკრები გვყავს, მაგრამ ლატვიასთან სრულიად საპირისპირო ვნახეთ. მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის განმავლობაში ბალტიისპირელები ბატონობდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენებს მოსაგებად არაფერი გაუკეთებიათ, პირიქით, ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მათ მოქმედებას ფანტაზია და გამჭრიახობა აშკარად აკლდა.

გერმანელები მოედნის ცენტრს ზოზინით გადადიოდნენ, შემდეგ კი ბურთს განივად აგორებდნენ და არცთუ იშვიათად უკან აბრუნებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ. ნაკრები არ იყენებდა ფლანგებზე გრძელ პასებს, რომელსაც კარის წინ ჩაწოდება უნდა მოჰყოლოდა. ჩვენს ფეხბურთელებს ერთი შეხებით თამაშიც არ გამოუვიდათ და მეურვეებსაც ვერ სჯობნიდნენ.

გერმანელებს საკუთარი ძალისა თითქოს არ სწამდათ. მიხაელ ბალაკს ნებისმიერ წამს შეუძლია, ერთ მცველს გაუმკლავდეს, მაგრამ მსგავსი რამ არ გაუკეთებია, რადგან ალბათ თავადაც არ სჯეროდა ამისა, ბალაკი შეტევაში აქტიურად ჩართვასაც ერიდებოდა. ვფიქრობ, ზურგის მოშიშვლებისა ეშინოდა. მის გარდა სხვებსაც ეტყობოდათ, რომ მეტოქის კონტრშეტევას უფრთხოდნენ და წინ გულიანად ვერ მიდიოდნენ.

გოლის გამტანი გვაკლია. მიულერის, რუმენიგეს, ზეელერის, ფიოლერის, კლინსმანის დონის ფორვარდი სანატრელი გაგვიხდა. ამიტომაც თამაშობს ნაკრები ამჟამად ორი თავდამსხმელით, ერთდროულად სამი ან ოთხი რომ გაამწესოს მწვრთნელმა, დარწმუნებული ვარ, გუნდი მაშინვე აირევა. ვარჯიშებზე ასეთ ვარიანტებს არც კი ამუშავებენ, თუმც ეს მსოფლიოში ყველასთვის საერთო პრობლემაა. შედეგად, გერმანიამ მასიური დაცვის გაჭრა ვერ შეძლო.

არ ვუარყოფ, ჰოლანდიასთან კარგად ითამაშეს, მაგრამ ამ მატჩში ნაკრები მეტწილად კონტრშეტევებს პასუხობდა, ლატვიასთან კი თავად უნდა ელონათ რამე და მეტოქისთვის საკუთარი ტაქტიკა მოეხვიათ. არ გამოუვიდათ და ახლა ჩეხებთან, ფაქტობრივად, ფინალის ტოლფასი შეხვედრა გველის, რომელშიც აუცილებლად გამარჯვება გვჭირდება. გასაგებია, რომ ძალიან მძიმე მატჩი იქნება, მაგრამ თუ ისეთივე შემართებით ითამაშეს, როგორც ჰოლანდიასთან, მჯერა, რომ მოვიგებთ.

## იტალია

**სერია A/B. პლეი ოფი**
**საპასუხო მატჩი**

**ფიორენტინა 1:1 პერუჯა (1:0)**
**1:0 ფანტინი (47), 1:1 დო პრადო (82)**

# იები დიდ ფეხბურთს!


**გაბრიელ ომარ ბატისტუტამ „ფიორენტინას“ უქომაგა**

კაცგაგდებული „ფიორენტინა“ „პერუჯასთან“ დიდი საპლეიოფო ბრძოლის შედეგად სერია **A**-ს დაუბრუნდა. „პერუჯა“ შესაბამისად სერია **B**-ში ჩაქვეითდა.

შეგახსენებთ, რომ იები 2002 წელს გაკოტრდნენ, ოღონდ მანამდე გავარდნენ ლიგიდან. მერე იტალიური ფეხბურთის ბოსებმა გუნდს სერია **C2**-ში მიუჩინეს ადგილი. რატომ **C2**-ში? იმიტომ, რომ როცა გუნდი გაკოტრდა და გაუქმდა, ბიზნესმენმა დიეგო დელა ვალემ მის ადგილზე ახალი კლუბი დააარსა. ერთი სიტყვით, იტალიაში ახალდაარსებული კლუბისთვის პირველი საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის ყველაზე დაბალი პროფესიული ლიგაა.

აი, ასე, სერია **C2**-დან დაიწყო კლუბმა, რომელიც მხოლოდ მორალურად გახლდათ „ფიორენტინა“, თორემ იურიდიულად და სახელითაც (პირველ ეტაპზე ძველებური სახელის დარქმევა რაღაც ფორმალობების გამო არ შეიძლებოდა) სხვა გახლდათ. შემდეგ გზად სერია **A**-სკენ, ფლორენციელებს სასამართლომ ძველი სახელის დაბრუნების ნება დართო, პლუს, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სტრუქტურულმა ცვლილებებმა უწია და სერია **B** 24 გუნდიანი გახდა — და საბოლოოდ სეზონის დაუკარგავად დაუბრუნდა უძლიერესთა ადგილს.

დავაზუსტოთ: „ფიორენტინა“ და „პერუჯა“ პლეი ოფში იმიტომ შეხვდნენ ერთმანეთს, რომ პირველმა სერია **B**-ში მეექვსე ადგილი მოიპოვა, ხოლო მეორემ სერია **A**-ში ბოლოდან მეოთხე.

შეხვედრა ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე“ გაიმართა, სადაც იისფრად გადავსებულ ტრიბუნაზე იქაურთა კერპი და გმირი, არგენტინელი თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტაც იჯდა.

„პერუჯას“ გამარჯვება სჭირდებოდა, ვინაიდან პირველ შეხვედრაში შინ 0:1 ჰქონდა წაგებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პერუჯელებს გაუმართლათ, ფაბრიციო რავანელისა და მარსელო ზალაიეტას ჯანმრთელობისა ეეჭვებოდათ, არადა ორივემ შეძლო თამაში, „ფიორენტინას“ პირიქით, საუკეთესო ფორვარდები, კრისტიან რიგანო და ვრიზასი არ ჰყავდათ.

ანგარიში 47-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, ამჯერადაც ენრიკო ფანტინიმ გაიტანა, გათანაბრებით კი ბრაზილიელმა ნახევარმცველმა, დო პრადომ შორიდან დარტყმით 89-ე წუთზე გაქვითა.

საბოლოოდ, მომდევნო სეზონის 20-გუნდიანი სერია **A** დაკომპლექტებულია.

**პაპუნა ძედია**

## არგენტინა

**კლაუსურა. XVIII ტური**

**რასინგი — არსენალი 0:1; როსარიო — ხიმნასია 1:1; ატლეტიკო — ინდეპენდიენტე 2:1; ესტუდიანტესი — ბანფილდი 0:2; ნუევა ჩიკაგო — ოლდ ბოიზი 0:2; ლანუსი — კილმესი 0:0; ჩაკარიტა — ოლიმპო 1:2; ბოკა ხუნიორსი — კოლონი 0:0; ველესი — სან ლორენსო 2:0; ტალიერესი — რივერ პლეიტი 3:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 18 | 12 | 3 | 3 | 40:20 | 39 |
| ბოკა ხუნიორსი | 18 | 10 | 6 | 2 | 34:16 | 36 |
| ტალიერესი | 18 | 10 | 4 | 4 | 30:19 | 34 |
| ველესი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:20 | 31 |
| ბანფილდი | 18 | 9 | 4 | 5 | 26:16 | 31 |
| კილმესი | 18 | 7 | 7 | 4 | 21:16 | 28 |
| რასინგი | 18 | 8 | 3 | 7 | 28:28 | 27 |
| არსენალი | 18 | 6 | 8 | 4 | 19:22 | 26 |
| ატლეტიკო | 18 | 7 | 4 | 7 | 24:23 | 25 |
| კოლონი | 18 | 7 | 4 | 7 | 19:24 | 25 |
| სან ლორენსო | 18 | 5 | 8 | 5 | 17:16 | 23 |
| ოლდ ბოიზი | 18 | 4 | 9 | 5 | 28:25 | 21 |
| ლანუსი | 18 | 5 | 5 | 8 | 21:25 | 20 |
| ესტუდიანტესი | 18 | 5 | 5 | 8 | 19:29 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 18 | 4 | 7 | 7 | 19:26 | 19 |
| ოლიმპო | 18 | 4 | 6 | 8 | 17:27 | 18 |
| ნუევა ჩიკაგო | 18 | 2 | 11 | 5 | 17:25 | 17 |
| ხიმნასია | 18 | 2 | 8 | 8 | 20:26 | 14 |
| ჩაკარიტა | 18 | 2 | 8 | 8 | 19:33 | 14 |
| როსარიო | 18 | 2 | 6 | 10 | 15:28 | 12 |

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. X ტური**

**ალიანსი 3:1 ჰაამენლინა**
**ჰაკა 1:2 ტურკუ**
**ლაჰტი 1:1 ჰიკ**
**როვანიემი 1:2 ჯაზი**
**კტპ 2:1 ტპ-47**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალიანსი | 10 | 7 | 1 | 2 | 17:9 | 22 |
| ტამპერე | 9 | 6 | 2 | 1 | 12:4 | 20 |
| ჰაკა | 10 | 5 | 3 | 2 | 15:7 | 18 |
| კტპ | 10 | 5 | 2 | 3 | 15:10 | 17 |
| ტურკუ | 10 | 5 | 2 | 3 | 16:12 | 17 |
| ჰიკ | 11 | 3 | 7 | 1 | 17:11 | 16 |
| ინტერი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:12 | 16 |
| მიუპა | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| ლაჰტი | 10 | 2 | 6 | 2 | 11:13 | 12 |
| ჯაზი | 10 | 3 | 1 | 6 | 18:21 | 10 |
| ტპ 47 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | 9 |
| იარო | 9 | 2 | 1 | 6 | 11:18 | 7 |
| ჰამენლინა | 10 | 1 | 3 | 6 | 10:20 | 6 |
| როვანიემი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:25 | 4 |

## ბრაზილია

**სერია A. X ტური**

**ატლ. პარანენსე — ვიტორია 1:3; გრემიო — კურიტიბა 1:1; ფიგეირენსე — კრუზეირო 0:0; ვასკუ და გამა — პარანა 0:0; ბოტაფოგო — პონტე პრეტა 0:1; პაისანდუ — სან პაულუ 1:0; სან კაეტანო — პალმეირასი 1:1; გუარანი — კრისიუმა 2:1; ატლ. მინეირო — ფლუმინენსე 2:1; სანტოსი — ინტერნასიონალი 3:0; კორინთიანსი — ფლამენგო 1:1; ჟუვენტუდე — გოიასი 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრისიუმა | 10 | 5 | 3 | 2 | 18:13 | 18 |
| ფიგეირენსე | 10 | 5 | 3 | 2 | 12:7 | 18 |
| სან პაულუ | 10 | 5 | 3 | 2 | 15:12 | 18 |
| კრუზეირო | 10 | 5 | 3 | 2 | 15:13 | 18 |
| ინტერნასიონალი | 10 | 5 | 2 | 3 | 11:9 | 17 |
| პონტე პრეტა | 10 | 5 | 2 | 3 | 9:9 | 17 |
| პალმეირასი | 10 | 4 | 4 | 2 | 19:8 | 16 |
| ვიტორია | 10 | 5 | 1 | 4 | 22:13 | 16 |
| სან კაეტანო | 9 | 4 | 3 | 2 | 14:8 | 15 |
| ატლ. პარანენსე | 10 | 4 | 2 | 4 | 14:12 | 14 |
| ფლუმინენსე | 10 | 3 | 5 | 2 | 11:10 | 14 |
| გოიასი | 10 | 3 | 4 | 3 | 17:17 | 13 |
| სანტოსი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:18 | 13 |
| ჟუვენტუდე | 9 | 3 | 3 | 3 | 12:9 | 12 |
| ატლ. მინეირო | 10 | 2 | 6 | 2 | 14:16 | 12 |
| გუარანი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:10 | 12 |
| პარანა | 10 | 3 | 3 | 4 | 11:18 | 12 |
| გრემიო | 10 | 2 | 5 | 3 | 15:15 | 11 |
| კურიტიბა | 10 | 2 | 5 | 3 | 7:9 | 11 |
| ვასკუ და გამა | 10 | 2 | 4 | 4 | 12:11 | 10 |
| კორინთიანსი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:22 | 10 |
| ფლამენგო | 10 | 1 | 5 | 4 | 11:15 | 8 |
| პაისანდუ | 10 | 1 | 3 | 6 | 10:18 | 6 |
| ბოტაფოგო | 10 | 0 | 5 | 5 | 9:20 | 5 |

## ნორვეგია

**ტიპელიგა. XII ტური**

**ლილესტრიომი 1:1 ლინი**
**მიოლდე 3:0 სტაბეკი**
**ვოლერენგა 2:0 ჰამ კამი**
**ოდ გრენლანდი 4:4 სოგნდალი**
**ტრომსიო 3:2 ფრედრიკსტადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსიო | 12 | 8 | 1 | 3 | 23:11 | 25 |
| რუსენბორგი | 12 | 5 | 5 | 2 | 22:14 | 20 |
| ვოლერენგა | 12 | 5 | 5 | 2 | 13:10 | 20 |
| ბრანი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:12 | 19 |
| ლინი | 12 | 5 | 4 | 3 | 15:10 | 19 |
| ჰამ კამი | 12 | 5 | 4 | 3 | 15:15 | 19 |
| ლილესტრიომი | 12 | 4 | 5 | 3 | 19:12 | 17 |
| ოდ გრენლანდი | 12 | 4 | 5 | 3 | 20:17 | 17 |
| მოლდე | 12 | 3 | 5 | 4 | 15:17 | 14 |
| ვიკინგი | 11 | 2 | 6 | 3 | 8:12 | 12 |
| სოგნდალი | 12 | 2 | 5 | 5 | 19:24 | 11 |
| სტაბეკი | 12 | 3 | 2 | 7 | 11:21 | 11 |
| ბოდიო გლიმტი | 12 | 3 | 2 | 7 | 11:23 | 11 |
| ფრედრიკსტადი | 12 | 2 | 2 | 8 | 19:30 | 8 |

# სარბიელი: კროკო

## წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,17 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,05 | 3,71 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 3,4 | 1,7 | 3,0 | 1,13 | 1,59 | 1,08 |

© 2004 UEFA TM

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| | 5021 | იტალია-ბულგარეთი | 1,3 | 3,8 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,67 |
| | 5022 | დანია-შვედეთი | 3,8 | 1,6 | 3,4 | 1,12 | 1,79 | 1,08 |

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 338 | ინტერი-ალიანსი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 20.30 | 339 | იარო-ჰაკა | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,72 | 1,19 | 1,16 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 340 | კტპ-ლაჰტი | 2,2 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,21 | 1,46 |
| | | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 00.15 | 342 | აკურეირი-ფილკირი | 3,0 | 3,1 | 2,15 | 1,52 | 1,25 | 1,26 |
| 00.15 | 343 | კეფლავიკი-აკრანესი | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| 00.15 | 344 | ჰაფნარფიორდური-ვრინდავიკი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| 00.15 | 345 | ვიკინგური-ვესტმანაეიარი | 3,5 | 3,1 | 1,9 | 1,64 | 1,23 | 1,17 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 351 | კორკი-ბოჰემიანი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 352 | დუბლინი-შემროკი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| | | **25 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 353 | სტ.პატრიკსი-შელბურნი | 3,5 | 3,1 | 1,9 | 1,64 | 1,23 | 1,17 |
| 23.45 | 354 | უოტერფორდი-დერი | 1,55 | 3,4 | 5,3 | 1,06 | 1,19 | 2,07 |
| | | **26 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 355 | ლონგფორდი-დროგედა | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| | | **აშშ. MLS. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 07.30 | 408 | ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| | | **შვედეთი. თასი. III ეტაპი** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 424 | ჰამარბი-ლანდსკრონა | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 425 | იოსტერსი-იორგრიტე | 3,5 | 3,4 | 1,8 | 1,72 | 1,18 | 1,17 |
| 21.30 | 426 | ასირისკა-ბრომაპიოკარნა | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |
| 21.30 | 427 | ფრისკა-გიოტებორგი | 9,0 | 5,0 | 1,2 | 3,21 | 1,05 | 1 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 428 | ჰაუგესუნდი-რუსენბორგი | 7,5 | 5,0 | 1,25 | 3 | 1,07 | 1 |
| 21.00 | 429 | კონსვინგერი-სანდეფიორდი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 430 | მანდალი-ჰამარი | 3,1 | 3,6 | 1,9 | 1,66 | 1,17 | 1,24 |
| 21.00 | 431 | სტაბეკი-მოსი | 1,45 | 4,0 | 5,6 | 1,06 | 1,15 | 2,33 |
| 21.00 | 432 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 433 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 2,4 | 3,3 | 2,45 | 1,38 | 1,21 | 1,4 |
| 21.00 | 434 | ვარდ ჰაუგესუნდი-ლინი | 5,6 | 4,0 | 1,45 | 2,33 | 1,15 | 1,06 |






### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | | **22 ივნისი** | |
| 5421 | იტალია-ბულგარეთი | 1,15 | 4,4 |
| 5422 | დანია-შვედეთი | 1,95 | 1,85 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ივნისი** | | | | | | | | |
| 5121 | იტალია-ბულგარეთი | 1,35 | 20,0 | 50,0 | 3,8 | 6,5 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5122 | დანია-შვედეთი | 5,0 | 3,2 | 20,0 | 5,6 | 2,0 | 5,3 | 20,0 | 3,2 | 4,6 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბარად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **22 ივნისი** | | | |
| 5521 | იტალია-ბულგარეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | დანია-შვედეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **22 ივნისი** | | |
| 5321 | იტალია-ბულგარეთი | 1,7 | 1,6 |
| 5322 | დანია-შვედეთი | 1,2 | 2,2 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **22 ივნისი** | | |
| 5221 | იტალია-ბულგარეთი | 2,2 | 1,3 |
| 5222 | დანია-შვედეთი | 1,95 | 1,3 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ**

*27 ივნისს პატარა გორი დიდ ამბებს ელის. ინტერტოტოს თასზე პირველად მოთამაშე „დილას“ შანსი აქვს, ბულგარული „მარეკი“ გააგდოს და მეორე ეტაპზე გავიდეს. გუშინწინ გორელები მაგრად დაუდგნენ მასპინძლებს და ოღბალი ბოლომდე რომ გაჰყოლოდათ, „დილა“ ცალ ფეხს ევროპაში დატოვებდა.*

*საპასუხო მატჩისთვის კი იმედიანადაა „დილას“ თავკაცი ზურაბ ხორგუაშვილი, ვისაც გუშინ ვესაუბრეთ...*

ზურაბ ხორგუაშვილის ფოტო

# პენალტი ბექმესაც ვერ გააქვს

## გორმა ვახეში უნდა გაივახოს

— დუბნიცაში ნორმალურად ვითამაშეთ. თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ მერე გამოვეხიზლდით და უფრო გავთამამდით. თან ბევრი გამოუცდელი ფეხბურთელი გვყავს და მათ ადაპტაციასაც დრო დასჭირდა.

**— „მარეკი“ ისეთი გამოდგა, როგორსაც ელოდით?**

— თითქმის, საკმაოდ კარგი გუნდია. თავიდან ისეთი შტურმი მოგვიწყვეს, რომ ჩვენს ნახევარს ვერ მოვცილდით. მერე კი თამაში გაიხსნა და ჩვენც შევუტიეთ.

**— გაიკლით ამ ეტაპს?**

— ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ცდას რომ არ დავაკლებთ, ფაქტია.

**— არადა, ბოლო წუთებზე პენალტი რომ გაგეტანათ...**

— გასულები არ ვიყავით?! არა უშავს, ასეთი შეცდომები აქ აღარ უნდა დავუშვათ.

**— გიორგი ბალაშვილი გულგატეხილი ხომ არაა პენალტის გაცუდების მერე?**

— ამის დრო ახლა არ არის. ეგრე ბექემმაც ვერ გაიტანა პენალტი, მაგრამ ამით კარიერა ხომ არ დაუსრულებია?! იმედია, გიორგიც მალე დაივიწყებს ყველაფერს.

**— როგორ დაინიშნა პენალტი?**

— ბულგარელმა ცარიელი კარიდან ხელით გამოიტანა ბურთი. ამის გამო მსაჯმა მას წითელიც ამოუღო.

**— თქვენთვის ალბათ უკეთესი იქნებოდა, საშინაო მატჩი გორში გეთამაშათ და არა თბილისში...**

— რა თქმა უნდა, თუმცა ახლა ვერაფერს შევცვლით და იმედი მაქვს, „ლოკომოტივზეც“ კარგი მხარდაჭერა გვექნება, ბევრი ხალხი მოვა და გვიქომაგებს. გორის სტადიონს კი მალე გავარემონტებთ და გაისადაც თუ გავალთ რომელიმე ევროტურნირზე, გორში ვითამაშებთ. მთავრობიდან უკვე დაინტერესდნენ და, მგონი, ამ საქმეს მალე ეშველება.

**— ახალწვეულები, როინ ონიანი და აქვსენტი გილაური მომავალ ჩემპიონატშიც „დილაში“ ითამაშებენ?**

— ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ინტერტოტოს თასზე თამაშის მერე უნდა მოვილაპარაკოთ.

**ბაბა ზალამბერიძე**



ბადრი ჯიმლიხაძის ფოტო

# კალაძეს შინაგან ემოციები მეტად შეჭირდეს

*შარშანდელი დეკემბერში გადაწყდა, რომ თბილისის „დინამოს“ ალეკო ამილულაშვილი დატოვებდა. კიევის „დინამომ“ ეს ფეხბურთელი გუნდს გერმანულ შეკრებაზე დააწია, სადაც ალეკომ „შტუტგარტთან“ და „ვერდერთან“ საკმაოდ კარგად ითამაშა. თითქოსდა ყველაფერი გეგმით მიდიოდა და კიეველთა დაცვის ბურჯობა კიდევ ერთ ქართველს უნდა გაეწია, მაგრამ...*

*ალეკო ახლა თბილისშია და ცდილობს, ერთკვირიანი შვებულება მაქსიმალურად გამოიყენოს — მეგობრები, ახლობლები და საერთოდ თბილისი ძალიან მომენატრა და მინდა, ამ ერთ კვირაში ყველაფრის ნახვა მოვასწროო — გვითხრა გუშინ რედაქციაში ნასტუმრებმა...*

## კიევში ბენსონი ვერ ვნახე, თბილისში ფრენკსი...

**— ალეკო, ნახევარი წელიწადია, დიდ გუნდს, კიევის „დინამოს“ ეკუთვნი, — თუ გაითავისე ეს და ახლა, დამშვიდებულ გულზე რა გრძნობა გეუფლება?**

— კონტრაქტს ხელი რომ მოვაწერე, ძალიან დიდ ეიფორიაში ვიყავი, ღრუბლებში დავფრინავდი, ვიგრძენი, რომ თავდადებული შრომა არ იკარგება. კიევის „დინამო“ მართლაც დიდი გუნდია, ის კარგა ხანია, თავისი პირობებით საშუალო ევროპულ დონესაც გასცდა. ჯერ მარტო ბაზა რად ღირს. კლუბის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა საკმაოდ დიდი მიწის ნაკვეთი იყიდა, ვფართოვდებით, კომფორტი გვაკლია. არადა, აღდგენითი ცენტრი გინდა, სავარჯიშო მოედნები თუ დარბაზები, გასართობი და დასასვენებელი ცენტრი, მოკლედ, ყველაფერი მაღალ დონეზეა.

**— ფული ბევრი ჰქონია სურკისს...**

— ფული მართლაც ბევრი აქვს, მაგრამ არც იმდენი, რამდენიც „შახტარის“ პრეზიდენტს. დონეცკელები მშვენიერ სტადიონს აშენებენ, რუმინელი მწვრთნელიც ჩამოიყვანეს, „ჩელსიდან“ ადრიან მუტუს გადმობირებასაც ფიქრობენ და წლიურად ხუთ მილიონ ევროს სთავაზობდნენ გასამრჯელოდ. უკრაინაში იმხელა ფული ჩაიდო, რომ ძალიან მალე მათი ჩემპიონატი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

**— ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდა კიევის „დინამოში“?**

— რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაში მოხვედრა ყოველთვის ძნელია. უკრაინული ჩემპიონატი ერთი თავით მაინც აღემატება ჩვენსას, გარდა ამისა, სათამაშოდ მიდიხარ ისეთ კლუბში, რომელიც სეზონს არ აცდენს ჩემპიონთა ლიგაში. ყველაზე რთული მაინც აკლიმატიზაცია და ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა გამოდგა.

**— ფიზიკურად არ გაგიჭირდა კიეველთა ვარჯიშების შეგუება?**

— გაჭირვებით გამიჭირდა, თუმცა გაცილებით უარესს ველოდი. შუშაკის დროს ჩვენს „დინამოშიც“ ძალიან ხარისხიანი ვარჯიშები იყო და ამან მიშველა.

**— პირველი, რაც კიევში თვალში გეცა, რა იყო?**

— პროფესიონალიზმი. გუნდში ისეთი სიტუაციაა, რომ ფეხბურთელმა თამაშის გარდა არაფერზე არ უნდა იფიქროს. რაც ითქმება, ყველაფერი უყოყმანოდ სრულდება.

**— გუნდში ახალჩასული იყავი და შეკრებაზე თამაში არ ჩაგიგდია, თითქოსდა ალექსეი მიხაილიჩენკოც კმაყოფილი იყო, რა მოხდა მერე?**

— ჩემთვის უცნაური იყო მიხაილიჩენკოს საქციელი. შეკრებაზე ძალიან კმაყოფილი იყო, ყველა მაჩტში მათამაშებდა. ამ დროს კვიპროსზე გავემგზავრე, სანკრებო ინტერესებს ყოველთვის მაღლა ვაყენებ. კიეველებს კვიპროსიდან შევუერთდი შეკრებაზე და „რუსენბორგთან“ ვითამაშე. საკუთარი თავით მეც უკმაყოფილო ვიყავი. მიხაილიჩენკომ თავად მითხრა, გატყობ, დაღლილი ხარ და ცოტას დაგასვენებო. განახლებულ უკრაინის ჩემპიონატში კი ყველაზე პრინციპულ მატჩში „დნიპროსთან“ დამაყენა. ამის მერე შანსიც აღარ მომცემია.

**— ახალი სეზონი შენთვის გარდამტეხი უნდა იყოს...**

— მეც ასე ვფიქრობ. თუმცა ერთიცაა, კიევის „დინამოში“ განსხვავებული სიტუაციაა. შეიძლება მაგრადაც თამაშობდე, მაგრამ ერთი შეცდომა ძვირად დაგიჯდეს. იქ მოდუნებას არავის ჰპატიობენ. მგელივით უნდა იყო. შენს ადგილზე მინიმუმ სამკაციანი კონკურენციაა. ალბათ, ახალი სეზონი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ის კი ვიცი, რომ კიევში ახალჩამოსულს ყველას უჭირდა — რინკონი, გავრანჩიჩი გინდა თუ აგერ, ოგნიენოვიჩი აიღე, კაცს უმაღლეს დონეზე აქვს ნათამაშები და კიევში დუბლშემადგენლობაშია.

**— ჩემპიონატი დამთავრდა და მალევე ახალი სეზონისთვის გიწევთ მზადება. ალბათ ასეთი მჭიდრო კალენდარი ფეხბურთელებში უკმაყოფილებასაც იწვევს.**

— ასეა, დასვენების დრო ფაქტობრივად არ გვაქვს. 10 ივლისს უკრაინის სუპერთასია. რა თქმა უნდა, ისევ „შახტართან“. 20 ივლისს კი ჩემპიონატი იწყება. „დინამომ“ 25 ივნისამდე გაგვიშვა. მერე იალტაში შეკრება გვეწყება, სადაც ძირითადად ფიზიკურ დატვირთვებზე იქნება გამახვილებული ყურადღება. ერთი ის მახარებს, რომ იალტაშიც სამ დღეს გვაძლევენ დასასვენებლად და ზღვაში რაც შეიძლება, მეტი დრო უნდა გავატაროთ.

**— თანაგუნდელების პორტუგალიაში თამაშზე რა აზრის ხარ?**

— უდავოა, რომ დინამოელთაგან ვერპაკოვსკისი გამოირჩევა. არადა, პირველად რომ მოიყვანეს, ნული იყო, ბურთის მიღება უჭირდა.

**— „დინამოში“ რომ დამღლელი ვარჯიშებია, ცნობილია. თავისუფალ დროს კიევში რას აკეთებ?**

— მართლაც ძალიან დატვირთულები ვართ. თამაშამდე ორი დღით ადრე ბაზაზე ვიკეტებით — შეკრება იწყება. არადა, ისეთი ვარჯიშები გვაქვს, შინ მისულს არსად წასვლა აღარ მინდა და დასვენება ყველაფერს მირჩევნია. თუმცა თავად კიევი ძალიან მაგარი ქალაქია. ჩვენზე ძალიან წინ არიან წასულები. იშვიათ თავისუფალ დროს კი ბარებში ან კინოში სიარულით ვკლავ. ერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ კიევში ჯორჯ ბენსონის კონცერტზე წასვლა ვერ მოვახერხე, თამაში გვქონდა. ახლა კი თბილისში ჩემი უსაყვარლესი მომღერლის მაიკლ ფრენკსის კონცერტსაც გამოვტოვებ — შეკრება გვეწყება.

**— საჭმელი სადაური ჯობს?**

— რა თქმა უნდა, ქართული სამზარეულო მირჩევნია. იქ ოჯახთან ერთად ვარ და დედაჩემი ქართულ კერძებს არ მანატრებს. ისე, კიევური კატლეტი კიევში მართლაც სულ სხვაა და სიამოვნებითაც მივირთმევ. ქართული რესტორნებიცაა, მაგრამ იქ ქართულ გემოს ვერ ივრძნობ. თეფშისხელა ხინკალს რომ მოგიტანენ, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?!

**— კიევის „დინამოში“ კახა კალაძის ავტორიტეტი კვლავაც დიდია?**

— პატივს სცემენ, აფასებენ და ახსოვთ. ნაღდად კარგი სახელი დატოვა, თუმცა იმასაც მეუბნებიან, კახას „დინამოში“ ფიზიკურად შენზე მეტად უჭირდაო...

**დავით ერაძე**

# ნემსაძე მხოლოდ სამი თვის ხელფასს მიიღებს

## უკმაყოფილო ფეხბურთელები იჩივლებენ: ყველაზე 55 000 ძალიან ცოტაა

**გუშინ** შოტლანდიის დასაქმების ტრიბუნალმა შარშან გაკოტრებული „დანდის“ ფეხბურთელებს ვერდიქტი გამოუტანა — ვაჭრობის და ინდუსტრიის დეპარტამენტი ბეგარის მოკლებით 55 ათას გირვანქას გამოჰყოფს და ეს თანხა გაკოტრებული „დანდის“ 17 ფეხბურთელზე განაწილდება კომპენსაციის სახით, მათ შორის, თბილისის „დინამოს“ კაპიტან გიორგი ნემსაძეზეც.



ბადრი ჯიმლიხაძის ფოტო

გიორგი ნემსაძე

BBC იუწყება, რომ გაბანკროტებული კლუბის ფეხბურთელები ოდენ სამი თვის ხელფასს თუ მიიღებენ. მოთამაშეებს საჩივრის სახით მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ კიდევ ორი თვის ანაზღაურება მოითხოვონ ფეხბურთელთა პროფკავშირის დახმარებით. „დანდის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები ფაბრიციო რავანელი და კრეიგ ბერლი იყვნენ — ისინი ინდივიდუალურ სარჩელს მოამზადებენ. რაც შეეხება ნემსაძეს, მასაც კუთვნილის სრულად აღება სურს და გუშინ გვითხრა, რომ ამის იმედი ჯერაც აქვს.

ექსდანდელი ნემსაძე ახლა ნაოპერაციევია, მაგრამ „დინამოს“გერმანულ შეკრებაზე მაინც გაჰყვება — მსუბუქად ვარჯიშს გიორგი ერთ კვირაში შეუდგება.

**დავით თავართქილაძე**

# თბილისს მოდებაძე ორივე უნდა

ფორვარდის პრობლემის გადაჭრას „თბილისი“ ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მიერ ტრანსფერზე დაყენებული ირაკლი მოდებაძის შეძენითაც აპირებს. მოდებაძის შესაძლო ტრანსფერზე მოლაპარაკება ჯერაც არ დასრულებულა. სამაგიეროდ, „თბილისში“ ვარჯიშობს და ალბათ ჩაირიცხება კიდეც მოდებაძის უმცროსი ძმა დავითი, რომელიც „დინამო 2“-ში თამაშობდა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „თბილისი“ თავის მორიგ საკონტროლო მატჩს 24 ივნისს 19 საათზე „ვიტ ჯორჯიასთან“ „ისნის“ სტადიონზე გამართავს. 28 ივნისს გუნდი ვლადიკავკაზს გაემგზავრება, რათა 29 ივნისს იქაურ „ალანიას“ გაეჯიბროს.

**დავით ერაძე**



პაატა ჯიმლიხის ფოტო

*დღეს თბილისის „დინამო“ ბარგს შეკრავს და გერმანიაში გაემგზავრება. სადამდე გაგრძელდება რუიტული შეკრება, ჯერჯერობით არავინ იცის. ეს ამბავი მაშინ გადაწყდება, როცა უეფა „დინამოს“ საევროთასო მეტოქეს დაუდგენს. თუ წილისყრამ თბილისელებს შუაევროპელი მოწინააღმდეგე შეახვედრა და თან პირველი მატჩი სტუმრად დაინიშნა, მაშინ „დინამო“ გერმანიაშივე დარჩება და იქიდან ესტუმრება მეტოქეს.*

ზაურ სვანაძე და მთელი „ლოკომოტივი“ ფულს და პატრონს ელიან

პაატა ჯიმლიხის ფოტო

# გეგუჩაძის დინამო უეჭველი პირველი ეტაპისთვის

გია გეგუჩაძეს გერმანიაში 26 ფეხბურთელი მიჰყავს: ზოიძე, მამალაძე, თოთლაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, გიგაური, კაშია, ნემსაძე, ბურდული, კვირკველია, რომერო, ხმალაძე, ალადაშვილი, გრიგალაშვილი, კანკავა, ქუცურუა, ჩირკაშვილი, იაშვილი, მელქაძე, ახალაია, გონჩაროვი, კაკალაძე, დვალი, დვალიშვილი.

დინამოელებმა გერმანიაში გამგზავრებამდე დიღმის ბაზაზე თანაქალაქელ „ლოკომოტივთან“ გამართეს ამხანაგური მატჩი. „ლოკომოტივზე“ და სხვადასხვა სიახლეებზე ქვემოთ გეტყვით, მანამდე კი „დინამოს“ თავკაც *გია გეგუჩაძეს* მოვუსმინოთ, რომელსაც თამაშამდე რამდენიმე წუთით ადრე გავესაუბრეთ:

**— „დინამო“ თითქმის ყოველ შეკრებაზე იწვევს უცხოელ ფეხბურთელებს. ამჯერადაც გაქვთ ასეთი სურვილი?**

— არა, უცხოელს აღარ დავიმატებთ. ვფიქრობ, ქართველებითაც შეიძლება იმ ამოცანების გადაჭრა, რაც დავისახეთ. მე ამ ბიჭებს ბოლომდე ვენდობი.

**— გიორგი ანჩაბაძე რატომ გაუშვით?**

— ჩვენ გავითვალისწინეთ მისი დამსახურება „დინამოს“ მიმართ და ხელი არ შეგვიშლია. ახლა მას თავადვე შეუძლია, საკუთარი მომავალი გაარკვიოს.

**— ლევან სილაგაძესაც საბოლოოდ დაშორდით?**

— დიახ, სილაგაძემაც სხვა კლუბში თამაში არჩია. თან მას კონტრაქტი დაუმთავრდა ჩვენთან და უფლება არ გვქონდა, სხვაგვარად მოვქცეულიყავით.

**— შესაძლებელია, ამ სიას კიდევ ვინმე დაემატოს?**

— არა, ეს საბოლოო სიაა. არავინ დაემატება და არც არავინ მოაკლდება.

**— გჯერათ, რომ ასეთ შემადგენლობას უეფას თასზე წარმატებით თამაში შეუძლია?**

— ცხადია, წილისყრასაც გაჩნია, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ პირველ ეტაპს უეჭველად გავივლით.

**— ტრავმირებულ ფეხბურთელებზე რას იტყვით?**

— გიორგი ნემსაძე გერმანიაში განაახლებს ვარჯიშს, მისი ძალიან შეიმედება. რაც შეეხება ლადო ბურდულს, სრულ დატვირთვებამდე ცოტა დრო კიდევ დასჭირდება, მაგრამ, შეკრების ბოლოს უკვე უნდა აღიდგინოს ძალები.

პაატა ჯიმლიხის ფოტო

გუშინდელი ამხანაგური „დინამო“-„ლოკომოტივი“ უგოლოდ დამთავრდა

„დინამოს“ გერმანული შეკრების თემას ამხანაგური მატჩების განრიგით ამოვწურავთ: 26 ივნისს „დინამო“ შტუტგარტის მხარის ნაკრებს გაეჯიბრება, 29 ივნისიდან 3 ივლისამდე კი შვეიცარიაში გადავა და ოთხთა ტურნირში ითამაშებს: 29-ში ჩვენები მასპინძელ „ბაზელს“ შეხვდებიან, 3 ივლისს კი ბუქარესტის „დინამოსა“ და „იანგ ბოისს“ შორის გამარჯვებულს, ან დამარცხებულს. ცხადია, იმის შესაბამისად, თუ რას იზამს „დინამო“ პირველ შეხვედრაში.

უფრო სერიოზული ტურნირი ელით თბილისელებს ავსტრიაში 6-9 ივლისს. პირველი მეტოქე „ზალცბურგია“, მეორე წყვილში კი „ბეშიქთაში“ (თურქეთი) და „ბრონდბიუ“ (დანია) ითამაშებენ. ფინალი და მცირე ფინალი 9 ივლისს გაიმართება.

საინტერესოა, რომ ამ ტურნირს პოპულარული არხი „ევროსპორტი“ აშუქებს, თან პირდაპირ ეთერში.

ერთი სიტყვით, გერმანია-შვეიცარია-ავსტრიიდან თბილისში, დიღმის ბაზაზე დაბრუნდეთ და გუშინ იქ ნანახ-გაგონილზეც ვთქვათ. „დინამომ“ გადახალისებული შემადგენლობა დაახვედრა ჯერაც დაუწყობელ თუ აუწყობელ „ლოკომოტივს“. გია გეგუჩაძემ რვა წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა: ლაშა სალუქვაძე, გიორგი ნემსაძე, ლადო ბურდული, დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა, სანდრო იაშვილი, ლევან მელქაძე და მიხეილ კაკალაძე. დანარჩენთაგან კი უმეტესი სათამაშო დრო ახალგაზრდებს დაუთმო. ჰოდა, „დინამოს“ სასტარტო თერთმეტეულიც ასეთი იყო: მამალაძე, კაშია, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, ალადაშვილი, რომერო, გრიგალაშვილი, ქუცურუა, ახალაია, გონჩაროვი.

თავიდანვე გეტყვით, რომ მატჩი 0:0 დასრულდა, თუმც მოგების შანსი „დინამოს“ უფრო ჰქონდა — მეორე ტაიმში ჯაბა დვალმა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გააცუდა. თუმც, ამის გარდა, ყოფილ დინამოელ და ამჟამად რკინიგზელ დავით გვარამაძეს ერთი-ორი რთული ბურთის მოგერიებაც მოუხდა.

გვარამაძე ვახსენეთ და მის გარდა რკინიგზელთა შორის ცხრა ახალწვეული დავთვალეთ, თუმც მათგან ერთს, ექსმცხეთელ ლაშა ჩხაიძეს წელის ტკივილის გამო არ უთამაშია — იგი მოედნის კიდიდან ადევნებდა თამაშს თვალს. დანარჩენებს კი ჩამოვითვლით: თბილისის „მერანის“ ყოფილი კაპიტანი სოსო დევიძე, ბოლნისის „სიონიდან“ წამოსულები დავით ბაქრაძე, თენგიზ უგრეხელიძე და გიორგი შენგელია, ექსმცხეთელები — თემურ რაქვიაშვილი, გიორგი კიკალიშვილი, გიორგი ქებაძე, ბულგარეთმოვლილი ლევან შავგულიძე და ბათუმელი ირაკლი სირბილაძე. აქვე გეტყვით, რომ ეს ჯერაც არასრული სიაა. რკინიგზულ კლუბში თამაშის პერსპექტივით ხელმძღვანელები ფოთის „კოლხეთიდან“ წამოსულ ზურაბ ბათიაშვილს და ექსსიონელ იური გაბისკირიასაც ხიბლავენ, თუმც ამათი და სხვების ბედი ჯერაც არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი.

გაარკვია, რომ „ლოკომოტივის“ შეძენას კომპანია „აბრეშუმის გზა“ ეშურება, თუმც რკინიგზელთა დირექტორ ლევან ყიფიანის თქმით, შეთანხმება ჯერ არ მიღწეულა. ამ საქმეს უახლოეს დღეებში უნდა მოებას თავი, მაგრამ ერთი რამ ახლავე შეგვიძლია ვთქვათ: კლუბის არც სახელი შეეცვლება და არც საბინადროს შეიცვლის.

ბოლოს კი იმ სასტარტო შემადგენლობას გაგაცნობთ, ზაურ სვანაძემ გუშინ „დინამოსთან“ რომ ათამაშა: გვარამაძე, ვაშაკიძე, ბაქრაძე, უგრეხელიძე, გ. ონიანი, სანიკიძე, სახვაძე, სოსელია, მანწკავა, გ. ქებაძე, სირბილაძე.

„ლოკომოტივი“ ჯერჯერობით თბილისში გაატარებს საახალსეზონო მზადებას. შეკრებების ამბავი კი მას შემდეგ გადაწყდება, პატრონის ვინაობა რომ გაირკვევა.

**ქაჯა ზალამბერიძე**

# გოგობერიშვილი ჩვენია

## ბათუმში ჯიდევ ოთხი ფეხბურთელი მივიდა

„ბათუმში“ კიდევ ოთხი ახალი ფეხბურთელია და ოთხივე ნახევარმცველი: თბილისის „დინამოდან“ წასული ნახევარმცველი დავით ქოქიაშვილი, წინა სეზონის მეორე ეტაპის დაწყებამდე „ბათუმიდანვე“ „ვიტ ჯორჯიაში“ წასული ირაკლი შენგელია, ყოფილი დინამოელი მიხეილ მაზიაშვილი და საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის“ აღზრდილი ლაშა შენგელია. ამ ფეხბურთელების გუნდში დარჩენის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუმც ბათუმელთა პრეზიდენტის რევაზ ჩელებაძის თქმით, ისინი ალბათ აჭარაში დარჩებიან. ხოლო თბილისის „დინამოდან“ კონტრაქტის გასრულებამდე გათავისუფლებულ ალეკო გოგობერიშვილს ბათუმში 25 ივნისს ელიან.

— გოგობერიშვილი „ბათუმში“ ითამაშებს. ეს ამბავი გადაწყვეტილია. ალეკო ბათუმში 25-ში ჩამოვა და კონტრაქტიც გაფორმდება, თუმც ახლა ვერ გეტყვით, ის ჩვენთან როდემდე დარჩება. მთავარი ისაა, რომ „ბათუმმა“ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელთან მოლაპარაკება შედეგიანად დაასრულა — გვითხრა რევაზ ჩელებაძემ.

ჩვენ კი ერთხელაც შეგახსენებთ, რომ ბათუმში, სადაც ჩემპიონატის სამეულისთვის მებრძოლი გუნდის კეთებას შეუდგნენ, ამჟამად 40-50 ფეხბურთელი ვარჯიშობს, მათგან ნახევარზე მეტი თინეიჯერია, ხოლო ვინ დარჩება გუნდში და ვინ არა, მწვრთნელი ამირან გოგიტიძე გადაწყვეტს.



ალეკო გოგობერიშვილი

პაატა ჯიმლიხის ფოტო

**კოტა ინასარიძე**

# სულის ამოხდა გუჟებიკურად

**მოსკოვის „დინამომ“** გერმანული შეკრება დასრულა — მოსკოველებმა ბარსინჰაუზენი დატოვეს, მანამდე კი ბოლო, მესამე საკონტროლო მატჩიც გამართეს. მეტოქე მესამე ბუნდესლიგის „ლენინგენი“ იყო. დიდი უპირატესობის მიუხედავად, დინამოელებმა მხოლოდ ბოლო წუთებზე გატეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და 2:0 იმარჯვეს.

მოსკოველთა რიგებში 90 წუთი ითამაშა ოთარ ხიზანეიშვილმა. იგი პირველ ტაიმში მარჯვენა ფლანგზე გაისარჯა, მეორეში კი იაროსლავ გუჟებიკმა ცენტრალურ მცველად გაამწესა. „ძალიან დამღლელი შეკრება გამოგვივიდა. ორჯერადი, სულის ამომხდელი ვარჯიშების გარდა კროსების ჩაბარებაც გვიხდებოდა, თამაშების დღეს კი დილის ვარჯიშიც აუცილებლად ტარდებოდა. „ლენინგემთან“ ძალიან დაღლილები ვიყავით, თანაც გერმანელები საოცრად ხისტად თამაშობდნენ და მოკრძალებული ანგარიშიც ამის ბრალია. ახლა სამ-ოთხ დღეს დაგვასვენებენ, შემდეგ შევიკრიბებით და უკვე განახლებული ჩემპიონატისთვის მოვემზადებით“ — გვითხრა ხიზანეიშვილმა გერმანიიდან გამომგზავრების წინ.



**დავით ერაძე**

# ...ალბათ შემონდ უილიამსი

## სტეფანიას შერჩეული საქართველოს ნაკრებში უხელფასოდაც ითამაშებს

**მაშ ასე** — თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც აქამდე, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ბურთს ზანგი უკანასკნელი, სავარაუდოდ, კი შემონდ უილიამსი გაათამაშებს.

გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა დაადასტურა, რომ ნაკრებისთვის გამთამაშებელს ნბა-ში ეძებს და ეს საქმე იქ მოთამაშე ქართულ ტრიოს დაავალა.

ყველაზე ადრე ვლადიმერ სტეფანიამ მონახა სასურველი კანდიდატი, თანაც ერთბაშად სამი, რომელთაგან ნიუორლეანელმა შემონდ უილიამსმა უკვე თანხმობა გამოაცხადა, მზად ვარ, ამ საქმესთან დაკავშირებით მოლაპარაკება დავიწყოო. დაიწყო კიდეც: ლიპარტელიანი უკვე ელაპარაკა უილიამსის აგენტს და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უილიამსს ახლო მომავალში ქართულ პასპორტს ჩააბარებენ.

„მთავრობასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, რათა ჩვენგან შერჩეულ ნაკრების კანდიდატს ორმაგი მოქალაქეობა მისცენ — ამბობს ლიპარტელიანი — ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, რომ პრეზიდენტი სპეციალურ განკარგულებას გამოსცემს ნაკრების უცხოელი კანდიდატისთვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, მაგრამ არსებობს წინასწარი შეთანხმება და ალბათ ყველაფერი ჩვენი ეროვნული გუნდის ინტერესების შესაბამისად გადაწყდება.“

ისმის კითხვა: რას იგებს უილიამსი საქართველოს ნაკრებში თამაშით? ამ კითხვას ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი პასუხობს — „უილიამსს ხელფასს არ გადავუხდით, ჩვენგან მხოლოდ სადაზღვევო და მგზავრობის თანხა გავა, ამერიკელი ამაზეც თანახმაა. უილიამსისთვის ამ გარიგებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი უჩნდება, სადაც არაერთი ნბა-ს ვარსკვლავიც იქნება. ამასთან, უილიამსი აიღებს საქართველოს ანუ ევროპულ პასპორტს, რაც მას გაუადვილებს ჩვენს კონტინენტზე საქმიანობას. ის ადრეც თამაშობდა ევროპაში და მგონი, ისევ სურს დაბრუნება.

შემონდ უილიამსის გარდა არის კიდევ ორი კანდიდატი — დეტროიტელი მაიკ ჯეიმსი და მაიამელი ედი ჰაუსი. არაა გამორიცხული, რომ ამ მოთამაშეთა აგენტებთანაც დაიწყოს მოლაპარაკება, მაგრამ როგორც ლიპარტელიანის საუბრიდან ჩანს, არჩევანი უკვე გაკეთებულია — შემონდ უილიამსი.

ფედერაციის პრეზიდენტი ნაკრებს იტალიაში მიჰყვება, სადაც დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდი 22-25 ივლისს ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიურ სამზადისში მყოფ იტალიის, რუსეთისა და შვედეთის ნაკრებებთან ერთად. ლიპარტელიანი ვარაუდობს, რომ უილიამსს თავის აგენტიანად იტალიაში ნახავს და მის „გაქართველებასაც“ იქ დაუსვამს წერტილს — „ნაკრებს იტალიაში მეც მივყვები, სადაც ალბათ ჩვენი ნაკრების ამერიკელ კანდიდატს შევხვდები. შესაძლოა, უილიამსთან ერთად დეტროიტელი ჯეიმსიც ჩამოვიდეს ან კიდევ ვინმე სხვა, მაგრამ აყვანით ერთს ავიყვანთ. შესაძლებელია, სამივე ამერიკელს მივცეთ საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ ფიბა-ს წესდებით, განაცხადში ერთზე მეტს ვერ შევიყვანთ. თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვგეგმავთ, უილიამსის ან სხვა არჩეულის თბილისში ჩამოსვლა საჭირო აღარ იქნება. მას იტალიაშივე გავუგზავნით ქართულ პასპორტს.“

საკვალიფიკაციო ტურნირში ქართველთა მეტოქემ მაკედონიის ნაკრებმა უკვე მისცა ორმაგი მოქალაქეობა 212-სანტიმეტრიან მავან ამერიკელ ცენტრს და მოსკოვის ცსკა-ს ლიდერ მარკუს ბრაუნსაც წაეპოტინა — თუმც ჯერჯერობით უშედეგოდ.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ დოლიძისა-ბაქაულის ფოტო

**მოსკოვის ცსკა-ს ისე მოსწონს შარშანდელი შენაძენი გიორგი ცინცაძე, რომ საქართველო ნიჭიერი ახალგაზრდების საბადოდ დაიგულა და თავის ტრადიციულ კემპზე წლეულს სხვა ქართველებსაც უხმო. რეზო დიდია და მიხეილ ბერიშვილი „აკადემიის“ 1987-წლიანების გუნდში თამაშობენ და თანატოლებში ყველაზე პერსპექტიულები არიან და ცსკა-ს კემპზეც ისინი წავიდნენ. მოსკოვში იმყოფებოდა და სამწვრთნელო პროცესს აკვირდებოდა „ბასკოს“ თავკაცი ნუგზარ კანდელაკიც, რომელიც კემპის ამბებს გვიამბობს...**

# რუსეთი გვზვერავენ

## ცინცაძემ მოსკოვში ქართველების ფასი ასწია

— ცსკა-ს კემპი ტრადიციულია და ყოველ ზაფხულს ტარდება. არმიული გუნდი თავს უყრის რუსეთსა და პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე გამორჩეულ ახალგაზრდებს და უცხოეთიდან მოწვეულ მწვრთნელებს ავარჯიშებინებს. ასე რომ, ესაა კემპი ბავშვებისთვის და მწვრთნელებისთვისაც — ვარჯიშებს არაერთი სპეციალისტი ადევნებდა თვალს, მათ შორის მეც.

**— შარშან ანალოგიურ კემპზე იმყოფებოდა გიორგი ცინცაძეც და იგი დღეს ცსკა-ში თამაშობს...**

— ჰოდა, ძირითადად მაგიტომ გადაწყვიტეს რუსებმა, წლეულსაც მიეწვიათ ქართველები. ფიქრობენ, რომ ცინცაძის დარ პერსპექტიულ ახალგაზრდას კიდევ აღმოაჩენენ.

**— აღმოაჩინეს?**

— მოსკოვში ამჯერად „აკადემიის“ ორი პერსპექტიული ახალგაზრდა — რევაზ დიდია და მიხეილ ბერიშვილი — იმყოფებოდა, რომელთა მწვრთნელები გელა წულაძე და მიხეილ კობეშავიძე არიან. ეს უკანასკნელი თან ახლდა ბიჭებს მოსკოვში, სადაც მათ მოწონება დაიმსახურეს. სხვათა შორის, შარშან ცინცაძე რომ კემპზე იყო, მაშინ არაფერი უთქვამთ რუსებს. გიორგი თბილისში რომ დაბრუნდა, მერე გააცხადეს მისი აყვანის სურვილი. არ ვიცი, რას ფიქრობენ ისინი დიდიაზე და ბერიშვილზე, ისე კი, ჩვენს ბიჭებს ცუდი შთაბეჭდილება ნაღდად არ მოუხდენიათ.

**— ვარჯიშებს თქვენც უძღვებოდით?**

— არა, მე დამკვირვებლის როლში ვიყავი და სერბი მწვრთნელების ვარჯიშებისგან საკმაოდ ბევრი სიახლე შევითვისე. დღეში ორჯერადი ვარჯიშები იყო, ჯერ ფიზიკური, მერე კი ტაქტიკური.

**— ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა კემპში, საიდან იყვნენ ისინი?**

— სხვათა შორის, წლეულს შარშანდელზე გაცილებით ცოტა ბავშვი იყო, რადგან გუნდებმა ჭკუა ისწავლეს და მოთამაშეებს კონტრაქტები გაუფორმეს. აქამდე ცსკა-ს ვინც მოეწონებოდა, უპრობლემოდ თავისან გადაჰყავდა, ახლა კი გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს. ამიტომაც რეგიონების კლუბებმა ზოგო მოთამაშე მოსკოვში არ გაუშვა, თუმც მაინც ბლომად ბიჭები იყვნენ და არაერთი ძალიან პერსპექტიული.

**— ცინცაძე თუ ნახეთ?**

— მის მხოლოდ ერთ ვარჯიშს დავესწარი, მერე ცინცაძე ტრევიზოს კემპზე წავიდა. რაც მე არ მინახავს, ერთიორად მომატებული აქვს. ის უკვე საკმაოდ დახვეწილი მოთამაშეა, სერბმა მწვრთნელებმა სუპერტალანტი უწოდეს.

**— მისი ბედი როგორ გადაწყდება, ითამაშებს ცსკა-ს ძირითადში?**

— მხოლოდ ის ვიცი, რომ ცინცაძე აღარ ითამაშებს არც ცსკა-ს დუბლებში და არც ეკატერინბურგის „ევრაზში“ — ამ გუნდს ცსკა ყიდულობს და ფარმ-კლუბად ეყოლება.

**— ესე იგი, დიდ გუნდში დააკავებენ...**

— ალბათ ასე იქნება, მაგრამ ჯერ ვერაფერს ამბობენ არმიელები. ცსკა-ში 5 მოთამაშე დარჩა, უმეტესობა წავიდა და გუნდი თავიდან კომპლექტდება. არის იმის შანსიც, რომ ცინცაძე რომელიმე ევროპულ კლუბში გაანათხოვრონ, რადგან წლეულს ცსკა ძალიან ძლიერ გუნდს აკეთებს, ევროლიგის ოთხთა ფინალის მასპინძელია და, ცხადია, ჩემპიონობასაც უმიზნებს. გიო ალბათ მოხვდება 12 კაცში, მაგრამ მისთვის მაინც სხვა გუნდში განათხოვრება ჯობს, რადგან ცსკა-ში სავარაუდოდ ბევრს არ ათამაშებენ.

**ირაკლი პერტაია**

ჭადრაკი

### მსოფლიოს ჩემპიონატი ფაშებში

**ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი**

პირველი წრე. *ქართველთა შედეგები*

მართეზა მაჰჯუბი (ირანი) — ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) 1:0
(პირველი პარტია 0:1) ტაი ბრეიკი (0:1, 0:1)
სუმბათ ლპუტიანი (სომხეთი) — მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) 1:0 (1:0)
რუბენ ფელგაერი (არგენტინა) — ბაადურ ჯობავა (საქართველო) 1:0 (0:1) (0,5:0,5, 0,5:0,5, 1:0, 0:1, 1:0)
გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო) — ვასილიოს კოტრონიასი (კვიპროსი) 0:1 (1:0) (0:1, 0,5:0,5)

# ირანელს ქართველის დედოფალი არ შეერგო

მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი ქართველი მონაწილიდან მომდევნო ეტაპს მხოლოდ ერთმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა უწია. პირველ პარტიაში დამარცხებულ ევროპის შარშანდელ ჩემპიონს მეორეში უცილობოდ მოგება სჭირდებოდა, საქმე ტაი-ბრეიკებამდე რომ გაეხანგრძლივებინა.

მეორე პარტია აზმაიფარაშვილისთვის საკმაოდ ნერვების მომშლელად დაიწყო და მე-13 სვლიდან იგი ულაზიეროდ დარჩა. ირანელი მართეზა მაჰჯუბი გაცვლებს შეუდგა, აზმაიფარაშვილმა კი მოკლული ლაზიერის ფლანგიდან პაიკების გაყვანა იწყო, თან სხვა ფრონტიც განავითარა და 28-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

ტაი-ბრეიკებში აზმაიფარაშვილს დიდად არ გასჭირვებია უსახელო მაჰჯუბის ძლევა, ორივე სწრაფი პარტია მოიგო და მომდევნო ეტაპზე რუს ალექსანდრ ლასტინზე გავიდა.

მომდევნო ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი გაუშვა ყაჭეიშვილმა. კვიპროსელ ვასილიოს კოტრონიასთან პარტიაში შავი ფიგურებით მოგებულს, წესით მეორეში ყაიმი მაინც არ უნდა გასჭირვებოდა. პარტიაც მისი უპირატესობით წარიმართა, თუმც ბოლო მომენტში შეცდა და დასანანი მარცხი იწვნია. ტაი-ბრეიკებში მეტოქემ 1,5:0,5 მოუგო ქართველს.

**ლაზა გეგეჭკორი**

# ᲚᲝᲓᲠᲐ ᲚᲝᲜᲓᲠᲔ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ

**ORDINA OPEN**
დენ ბოსხი. ბალახი
**ᲙᲐᲪᲔᲑᲘ**
საპრიზო 375 ათასი €

**ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲛᲘᲨᲔᲚ ᲚᲝᲓᲠᲐ (საფრანგეთი) — გილერმო კორია (1, არგენტინა) 6:3, 6:4**

მიშელ ლოდრა როგორც წესი სხვებთან ერთად წყვილოსნობას არჩევს და საერთეულოდ მხოლოდ აქა-იქ, იშვიათად თუ გაკრთება ხოლმე. მაგრამ, რაკი ის აგრესიულად, მოაწოდე-მიეძალე ყაიდით ბურთაობს, ბალახი მისთვის ქვეგამოჭრილი საფარია. ეს ამ ფინალმაც ცხადყო, რომელშიც გილერმო კორია კარიერის პირველ საბალახსაფრო ტიტულსა და საუმბლდონოდ მძლავრ განწყობას ეძებდა. მაგრამ ერთიც და მეორეც, ისევე როგორც გამარჯვებულისთვის დათქმული 62 500 დოლარი მაინც 24 წლის ცაცია ფრანგს ერგო, რომელმაც გადამწყვეტი შეხლა უფრო უშეცდომოდ და უფრო რამე-რუმედ ჩაითამაშა.

**ᲥᲐᲚᲔᲑᲘ**
საპრიზო 170 ათასი €

**ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲛᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲡᲘ (საფრანგეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 7:6 (11:9), 6:2**

შევეტერნებულმა კანადოფრანგმა მარი პირსმა — მიშელ ლოდრასი არ იყოს — კარიერის პირველი საბალახსაფრო ტიტული იშოვა, რაიც იმავდროულად მისი მეთექვსმეტე საკარიერო ტიტული გახლავთ. უიმბლდონობაზე კი მას ყველაზე შორს 1996 წელს მეოთხედფინალში გაუღწევია.

**ᲜᲝᲢᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲡ ᲚᲘᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ**
ბალახი. საპრიზო 375 ათასი €

**ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲠᲜ ᲨᲠᲘᲩᲐᲤᲐᲜᲘ (ᲘᲡრაელი, ტაილანდი) — ᲗᲝᲛᲐᲡ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ (შვედეთი) 1:6, 7:6 (7:4), 6:3**

უკვე რახანი იყო, პარადორნ შრიჩაფანისა წარუმატებლობის მეტი აღარაფერი გვსმენოდა. ჰოდა, ახლა წარმატებისაც გავიგოთ. პიტალო ტაილანდელმა 2002 წლის ავსტრალიის ჩემპიონ ტომას იოჰანსონს ორსაათიან დაძაბულ განდაგანაში ავჯობა და წლის პირველი, ხოლო კარიერის მეხუთე ტიტული მიითვალა. ალბათ თავადაც მიხვდებოდით, რომ ეს მისი პირველი საბალახსაფრო ტიტულია.

**ᲘᲡᲢᲑᲣᲠᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ**
ბალახი. საპრიზო 585 ათასი $

**ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲐ (2, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 2:6, 7:6 (7:2), 6:4**

## ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ



**გუშინ სხვებთან ერთად უიმბლდონი ირაკლი ლაბაძისთვისაც დაიწყო, მხოლოდ მას პირველი მატჩი ჯერ არ დაუმთავრებია. ლაბაძე 6:2 6:4-ს უგებდა ბელგიელ კრისტოფ ვლიგენს, თუმცა დაუღამდა და მის დამარცხებას დღეს შეეცდება**



FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. 55-Ე ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ**

# ᲠᲐᲚᲤᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲮᲣᲐᲜᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲠᲩᲐ

**რუბენს ბარიკელო 50-ე პოდიუმით ხარობს**

**ᲙᲕᲘᲠᲐᲡ** ინდიანაპოლისში აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებით წლევანდელი საფორმულო ჩემპიონატი თავის ეკვატორს მიადგა.

18-ეტაპიანი სეზონის გამყოფი, მეცხრე რბოლა ამჯერადაც უდავო უპირატესობით მოიგო მიხაელ შუმახერმა, წლეულს უკვე მერვედ, რაც ფორმულა ერთის 55-წლიან ისტორიაში მის გარდა ვერავინ შეძლო. პოდიუმზე „წითელი ბარონის" გვერდით მისი „ფერარელი ძმა" რუბენს ბარიკელო იდგა, სეზონში მეექვსედ. ეს მათ ხუთწლიან თანამშრომლობაში ზესარეკორდო, 25-ე დუბლია.

თითქმის უკვე ვადამდე მეშვიდედ გაჩემპიონებულმა შუმიმ 78-ე დიდი პრიზი წაიღო შინ, რუბინიო კი 50-ედ შეუდგა პოდიუმზე, რაც ფორმულაში მეცხრე შედეგია.

„ინდიანაპოლის მოტორ სპიდვეიზე" შეწყდა წლევანდელ „გმირის" ჯენსონ ბატონის ზედიზედ ქულებიანი სერია, სამაგიეროდ, საპრიზო სამეულში პირველად აღმოჩნდა მისი 27 წლის იაპონელი თანა-ბარელი ტაკუმა სატო.

თანდათან მოდიან ფერზე ვერცხლისფერი „მაკლარენები" — ვეტერანმა დევიდ კულჰარდმა და შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა ბოლ ორ რბოლაში ორჯერ მეტი ქულა მოიპოვეს, ვიდრე მანამდე შვიდ ეტაპზე.

ახლა მთავარზე. ინდიანაპოლისის ხათაბალიანი რბოლა ორჯერ შეწყდა ავარიების გამო — ჯერ იყო და პირველივე მოსახვევში ოთხი მანქანა გამოეთიშა ბრძოლას, მერე ფერნანდო ალონსომ დალეწა თავისი „რენო", ხოლო მეცხრე წრეზე რალფ შუმახერს შეემთხვა კატასტროფა — მის „უილიამსს" სამასკილომეტრიან სიჩქარეზე საბურავი გაუსკდა და ტრასაზე დაბზრიალებული ბეტონის კედელს მიეხეთქა. პილოტი გრძნობაზე იყო, მაგრამ კოკიტიდან მის ამოყვანას ექიმებმა კარგა ხანი მოანდომეს, მერე კი ჰოსპიტალში გააქანეს. ამბობენ, პატარა შუმის ჯანმრთელობას საშიშროება არ ემუქრებაო, თუმც კონტუზიის და წელის დაზიანების გამო რამდენიმე დღე მოუწევს წოლა.

ამერიკაში რალფის თანაგუნდელი ხუან-პაბლო მონტოიაც დაზარალდა, თუმც საკმაოდ კურიოზულად. გასახურებული წრის წინ მას ძრავა ჩაუქრა, ველარ დაქოქა და ბოქსებისკენ გაიქცა სათადარიგო ბოლიდში ჩასაჯდომად. მაგრამ რადგან სასტარტო ბაქანი დასაშვებ 15 წამზე გვიან დატოვა, სტიუარდებმა კოლუმბიელს დისკვალიფიკაცია მისცეს. კურიოზი კი ის გახლავთ, რომ ხუანს ეს ამბავი ლამის რბოლის ბოლოს, ფინიშამდე სამოცდაათიოდე კილომეტრით ადრეა აცნობეს, როცა მესამე პოზიციაზე მიდიოდა ფერარელების უკან. გამოდის, რომ საათზე მეტი ტყუილად უწვალია.

**ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ**



**„უილიამსის" მძიმე კვირადღე: ხუან-პაბლო მონტოიას სპრინტერობა არ გამოადგა, რალფ შუმახერი კი ჰოსპიტალში მოხვდა**

| FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ᲐᲣᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 7 მარტი | ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ 21 მარტი | ᲑᲐᲰᲠეᲜი 4 აპრილი | ᲡᲐᲜ ᲛᲐᲠᲘᲜᲝ 25 აპრილი | ᲛᲝᲜᲐᲙᲝ 9 მაისი | ᲛᲝᲜᲐᲜᲓᲘᲐ 23 მაისი | ᲙᲐᲜᲐᲓᲐ 30 მაისი | ᲡᲐᲜᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡკᲝ 13 ივნისი | ᲐᲛᲔᲠᲘკᲐ 20 ივნისი | ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲗᲘᲡᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲞᲠᲘᲥᲘ 4 ივლისი | ᲒᲠᲐᲜᲑᲘᲡᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲐ 11 ივლისი | ᲓᲘᲯᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲞᲠᲘᲥᲘ 25 ივლისი | ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 15 აგვისტო | ᲑᲔᲚᲯᲘᲙᲘ 29 აგვისტო | ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 12 სექტემბერი | ᲩᲘᲜᲔᲗი 26 სექტემბერი | ᲘᲐპᲝნᲘᲐ 10 ოქტომბერი | Ბრაზილია 24 ოქტომბერი | ᲯᲐᲛი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **Მ.ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ** ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | 80 |
| 2 **ᲑᲐᲠᲘᲙᲔᲚᲝ** ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | | | | | | | | | | 62 |
| 3 **ᲑᲐᲢᲝᲜᲘ** B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | | | | | | | | | | 44 |
| 4 **ᲢᲠᲣᲚᲘ** რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | | | | | | | | | | 41 |
| 5 **ᲐᲚᲝᲜᲡᲝ** რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | | | | | | | | | | 25 |
| 6 **ᲛᲝᲜᲢᲝᲘᲐ** უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | | | | | | | | | | 24 |
| 7 **ᲡᲐᲢᲝ** B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | | | | | | | | | | 14 |
| 8 **რ.ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ** უილიამსი, გერმანია | 5 | – | 2 | 2 | 3 | – | – | – | – | | | | | | | | | | 12 |
| 9 **ᲤᲘᲖᲘᲙᲔᲚᲐ** ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | 5 | – | | | | | | | | | | 10 |
| 10 **ᲙᲣᲚᲰᲐᲠᲓᲘ** მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | | | | | | | | | | 9 |

*რაკონენი (მაკლარენი) — 8 ქულა, მასა (ზაუბერი), პანი (ტოიოტა) — 5, და მატა (ტოიოტა), კუბერი (ავგუსტი), პაიდფელდი (ჯორდანი) — 3, გლოკი (ჯორდანი) — 2, პაუჩარტნერი (მინარდი) — 1*

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **ᲤᲔᲠᲐᲠᲘ** | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | 18 | 18 | | | | | | | | | | | 142 |
| 2 **ᲠᲔᲜᲝ** | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | – | 5 | | | | | | | | | | | 66 |
| 3 **B.A.R.** | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | 6 | 6 | | | | | | | | | | | 58 |
| 4 **ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ** | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | – | – | | | | | | | | | | | 36 |
| 5 **ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜᲘ** | 1 | 3 | – | 1 | – | – | – | 7 | 5 | | | | | | | | | | | 17 |

*ზაუბერი — 15 ქულა, ტოიოტა — 8, ჯორდანი — 5, ავგუსტი — 3, მინარდი — 1*



## ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

ᲢᲘᲞᲔᲚᲘᲒᲐ. XII ᲢᲣᲠᲘ
**ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲘ 4:2 ᲑᲠᲐᲜᲘ**

## ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜი. VII ᲢᲣᲠᲘ
**ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ 3:0 ᲤᲠᲐᲛᲘ**

# ხარები და ჩირლიდერები

## რაგბი გოგონების შოუ არაა

REUTERS ჟურნალისტებიდან

ირლანდიელმა ბრაიან ოდრისკოლმა ბევრი იფინტავა, მაგრამ სამხრეთ აფრიკას ვერ გასწვდა

19 ივნისი. კეიპტაუნი

**სამხრეთ აფრიკა 26:17 ირლანდია**

**სამხრეთ აფრიკა:** პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსი, ვეინ იულიუსი, მარიუს ჟუბერი, ჟაკ ფურიე; იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, ფური დიუ პრეეცი; ჟაკ კრონხე, პედრი ფანენბურგი, შალკ ბურგერი, კვინტონ დევიდსი, ვიქტორ მეტფილდი, ოზ დიუ რანტი, ჯონ სმიტი (კაპ), ედი ენდრიუსი

**შეცვლაზე შევიდნენ:** გერი ბრიცი, სიჯეი ფან დერ ლინდე, ბრენტ რასელი

2 ლელო: პოლსი, ფურიე

2 გარდასახვა: მონტგომერი (2)

4 საჯარიმო: მონტგომერი (4)

**ირლნადია:** გირვან დემფსი, შეინ ჰორგანი, კევინ მაგსი, ბრაინ ოდრისკოლი (კაპ), ტაირონ ჰოუი; რონან ოგარა, პიტერ სტრინგერი; ენტონი ფოლი, დევიდ ვოლესი, საიმონ ისტერბი, ჰოლ ოკონელი, მალკოლმ ოკელი, რეჯი კორიგანი, შეინ ბირნი, ჯონ ჰეიესი

**შეცვლაზე შევიდნენ:** გაი ისტერბი, დევიდ ჰემფრიზი, გევინ დაფი, მაკუს ჰორანი, დონჩა ოკალაჰანი, ალან ქუინლანი

2 ლელო: ოდრისკოლი, ჰოუი

2 გარდასახვა: ოგარა, ჰემფრიზი

1 არეკანი: ოგარა

სანამ სამხრეთაფრიკული „ბლუ ბულზი“ საქართველოს სტუმრობდა, მისი ცისარტყელოვანი ქვეყნის ნაკრებმა ირლანდიასთან კიდევ ერთი ტესტი ჩაატარა და ისევ იმარჯვა. „ბლუ ბულზის“ შემადგენლობიდან ნაკრებში 5 კაცი იყო გამოძახებული.

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტადიონზე თურმე რაღაც შოუს მაგვარიც მოეწყო, ისეთი, ამერიკელებმა რომ იციან ხოლმე: მოცეკვავე გოგოებითა და რამერუმეებით, მაგრამ სტადიონზე შეკრებილ საზოგადოებას განსაკუთრებული აღფრთოვანება არ გამოუხატავს. სამხრეთ აფრიკა აშშ არაა და იქ რაგბის საყურებლად მისულ კაცს სულ არ აინტერესებს ამისთანა ტინგიცური ამბები.

მოკლედ, მსაჯმა ჩასტვინა თუ არა, 45 ათასმა მაყურებელმა შვებით ამოისუნთქა და ნახა ის, რისთვისაც ბილეთი იყიდა. ირლანდიელები ცუდ შთაბეჭდილებას სულაც არ ტოვებდნენ და თავიდან ანგარიშიც სწორედ კუნძულელებმა გახსნეს. ლელო ტაირონ ჰორიმ გაიტანა და რონან ოჰარამ გარდასახა. 9 წუთის შემდეგ „ქურციკებმა“ მეტოქეს ჯერ ნაკრებში დაბრუნებული პერსი მონტგომერის ზუსტი საჯარიმოთი უპასუხეს, ცოტა ხანში კი ბრეიტონ პოლსმა აფრიკელთა პირველი ლელოც გაიტანა. მონტგომერიმ ჯერ ეს ლელო გარდასახა, 5 წუთის შემდეგ კი ერთი საჯარიმოც გაიტანა და აფრიკელები 13:7 დაწინაურდნენ.

32-ე წუთზე „ქურციკებმა“ ხელსაყრელი მომენტი გაუშვეს ხელიდან. ჩათვლის მოედნისკენ გაჭრილმა იაკო ფან დერ ვესტჰოიზენმა გვერდში მდგომს (მორბენალს) პასი არ მისცა, თვითონ უნდა გავიტანოო და არაფერიც არ გამოუვიდა, ირლანდიელებმა მისი შეჩერება შესძლეს.

სულ ცოტა ხანში მასპინძლებმა ლელო მაინც დადეს. თავიდან მონტგომერიმ იაქტიურა და რამდენიმე რაქის შემდეგ ბრენტ რასელმა უმეთვალყურეოდ მიტოვებულ ჟაკ ფურიეს გაატანინა. მონტგომერის არც ამჯერად გაუფუჭებია გარდასახვა — 20:7. პირველი ტაიმი 20:10 დასრულდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან დიდი დრო არ გასულა, მონტგომერიმ კიდევ ერთი საჯარიმო რომ შეაგდო. ამის შემდეგ ირლანდიელები მეტს უტევდნენ. ერთ ეპიზოდში მსაჯმა აფრიკელი ვეინ იულიუსი გააძევა და ირლანდიელებმა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება შესძლეს — ბრაიან ოდრისკოლმა ბურთი მონტგომერის წაართვა და ლელო გაიტანა. გარდასახვა ჰემფრიზმა შეასრულა და სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა — 23:17. ირლანდიელებმა გამარჯვების ლელოს გასატანადაც გაილაშქრეს და „ქურციკთა“ დაცვის რიგებს ეკვეთნენ, თუმცა აფრიკელებიც მედგრად დაუხვდნენ და კუნძულელებს იმედი გაუქარწყლეს. იქით ჯარიმა მოინადირეს ერთ-ერთი კონტრშეტევისას და ბურთთან ისევ მონტგომერი მივიდა. საბოლოოდ 26:17.

# ინგლისი 17:72 განადგურდა

## მსოფლიოს ჩემპიონმა თავი დაკარგა

19 ივნისი. ოკლენდი

**ახალი ზელანდია 36:12 ინგლისი**

**ახალი ზელანდია:** ნიკ ევანსი, ჯო როკოკოკო, ტანა უმაგა (კაპ), დანიელ კარტერი, მილს მულიაინა; კარლოს სპენსერი, ჯასტინ მარშალი; ქსავიე რაში, მარტი ჰოლა, იონო გიბსი, კიტ რობინსონი, კრის ჯეკი, ქიის მიიუსი, კევინ მეალამუ, კარლ ჰეიმანი

**შეცვლაზე შევიდნენ:** ჯერი კოლინზი, ენდრიუ ჰორი, კრეიგ ნიუბი, ტონი ვუდკოკი, ენდრიუ მერთენსი, სემ ტუიტუპოუ

5 ლელო: კარტერი, როკოკოკო (3), სპენსერი

4 გარდასახვა: კარტერი (4)

1 საჯარიმო: კარტერი

**ინგლისი:** ჯოშ ლიუსი, ტომ ვოისი, სტიუარტ ებოტი, მაიკ ტინდალი, ბენ კოენი; კრეიგ ჰოჯსონი, ენდი გომარსალი; ლოურენს დალალიო (კაპ), ჯო უორსლი, რიჩარდ ჰილი, სტივ ბორთვიკი, საიმონ შოუ, ჯულიან ვაიტი, მარკ რეგანი, ტრევორ ვუდმენი

**შეცვლაზე შევიდნენ:** ფრეზერ უოტერსი, მეტ დოუსონი, დენი გრივკოკი, ოლი ბარკლი, მაიკლ ლიპმანი, ენდი ტიტერელი, მეტ სტივენსი

4 საჯარიმო: ჰოჯსონი (4)

მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისი მეორე ტესტ-მატჩშიც განადგურდა ახალ ზელანდიასთან და თანაც ისე, რომ ვერც ახლა გაიტანა ლელო. დასამახსოვრებელი კი ამ მატჩში განსაკუთრებელი უხეშობა გახლდათ. თამაში ომს დაემსგავსა, მოედანი კი — ბრძოლის ველს, რომელზეც მოთამაშეები მწყობრიდან გამოსული საბრძოლო ტექნიკასავით ეყარნენ.

არადა, მატჩის პირველ 10 წუთში ინგლისი უკვე 6:0 იგებდა ჰოჯსონის ორი ზუსტი საჯარიმოს წყალობით. პირველ შემთხვევაში კარლ ჰეიმანი დაჯარიმდა, მეორეში კი ახალზელანდიელები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ამის შემდეგ მორაგბეებმა ნამდვილი ომი გააჩაღეს. ინგლისელი ჯო უორსლი ზელანდიელ კიტ რობინსონს წაეკიდა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: ცოტა ხანში ინგლისელმა ჯულიან ვაიტმა ზემოთ ხსენებული რობინსონი ძირს დაგდებული მოიხელთა და დუნის დასანახად ფეხი დააბიჯა. საიმონ შოუმ მეგობარს მხარი აუბა და ისედაც გვარიანად ნაბეგვ ზელანდიელს მუხლი უთავაზა. მსაჯმა ვაიტისა ვერ დაინახა, შოუს წიხლაობა კი არ გამოეპარა და წითელი ბარათიც აუფრიალა და მოედნიდან მიაბრძანა.

ამის შემდეგ გუნდები თითოჯერ შეცდნენ. ჯერ ზელანდიელმა მარშალმა დაკარგა ბურთი ხელსაყრელი სიტუაციაში, შემდეგ კი ინგლისელები შეტევაში დაჯარიმდნენ. არადა, მარკ რეგანი უბურთო მარშალს თავს რომ არ დასხმოდა, ლელოს გატანა შეიძლებოდა. ეს. შეცდომა ინგლისელებს 3 ქულად დაუჯდათ. კარტერმა ჯარიმა ზუსტად შეასრულა და „შავებმა“ ანგარიში 6:3-მდე შეამცირეს.

რაკი პირველი ქულები მოინაგრეს, ახალზელანდიელები მთლიანად დაეუფლნენ უპირატესობას. როკოკოკოს აქტიურობას კარტერის ლელო მოჰყვა, თუმცა ლელოს ჩასათვლელად მსაჯებს ტელეგამეორების ყურება დასჭირდათ. საბოლოოდ ლელო ჩაითვალა და კარტერმა ზუსტი გარდასახვით დააგვირგვინა საკუთარი ნაშრომი.

მეორე ტაიმში გაიბრწყინა როკოკოკომ, რომელმაც ინგლისელებს სამი ლელო დაუდო. თავისი უკანასკნელი ლელო ამ მატჩში როკოკოკომ სპენსერის შესანიშნავი გადაცემის წყოლობით გაიტანა. სპენსერმა ფეხით გადაკიდა ბურთი მთელ დიაგონალზე და როკოკოკომაც გუნდელს პასი დაუფასა. თავისი წილი ლელო გაიტანა თავად ჯონგლიორმა სპენსერმაც. საბოლოოდ ორი ტესტის ჯამში კი ინგლისი 15:72, ლელოებში კი 0:8 განადგურდა.

**ლადო ფულუკიძე**



REUTERS სიდნეიდან

მამაცმა შოტლანდიელებმა სტივენ ლარქემის ავსტრალია ვერ დაძრეს

19 ივნისი. სიდნეი

**ავსტრალია 34:13 შოტლანდია**

შოტლანდიელები სულაც არ გამოიყურებოდნენ ცუდად, ბევრს უტევდნენ, ლელოც დადეს და მაყურებელს ლამაზი თამაშითაც მოაწონეს თავი. ავსტრალია კი დაცვაში ბრწყვინვალედ თამაშობდა და არც თავდასხმაში გასჭირვებია. ანგარიშიც თქვენს თვალწინაა.

19 ივნისი. ბუენოს აირესი

**არგენტინა 20:35 უელსი**

უელსმა არგენტინასთან ტუკუმანში პირველი მატჩი 44:50 დათმო, გულშემატკივარს თამაშის გამოსწორებას შეპირდა და სიტყვა შეასრულა — ერთ კვირაში არგენტინელებს დედაქალაქ ბუენოს აირესში დამაჯერებლად მოუგო.

REUTERS ოკლენდიდან

ლოურენს დალალიოს ინგლისს ახალზელანდიელმა ჯო როკოკოკომ ორ ტესტში ოთხი ლელო გაუტანა


**სარბიელი**

**სპორტული გაზეთი**

**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**

**გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**რედაქტორის მოადგილე** სოსო კოტორაიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფიროსმანაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ჰერტაია
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
**საფოსტო მისამართი:**
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
**ელექტრონული ფოსტა**
sarbieli@gol.ge
**ელექტრონული ვერსია**
**http://www.sarbieli.com.ge**